განთიადის მუშაკი

გამოცემა საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირისა
ტფილისი
1927



შრომლუბრძოთ ცვლა ძველია, ვეერთდეთ!

განათლების მუშაკი

პედაგოგიურ-პროფესიონალური ორკვირეული ჟურნალი.

№ 1

5-199



1927 წ. ტფილისი 1/X.

გამოცემა სახ. განათ. მუშაკთა პროფკავშირისა

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა

შეკვ. № 2526—9913. მთავლ. № 1694. ტირაჟი 3000



საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის.

მთელი კაპიტალისტური ქვეყანა ომისათვის ემზადება. აშენებენ უზარმაზარ დრედნოუტებს, აუარებელ ტანკებს და სამხედრო ჰაეროპლანებს. იგონებენ ათასნაირ გაზებს ქალაქების და სოფლების მოსაწამლავად. იგონებენ ახალ სისტემის ზარბაზნებს და ტყვიისმფრქვეველებს ხალხის გასანადგურებლად. კაპიტალისტურ სახელმწიფოების შემოსავლის უდიდესი ნაწილი იხარჯება სამხედრო საქმეზე და ურიცხვი ჯარის შენახვაზე. უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერები და ტეხნიკოსები მუშაობენ ისეთ საკითხებზე, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო საქმესთან.


ამავე დროს დაუღალავად ლაპარაკობენ განიარაღებაზე და მშვიდობიანობაზე. ეს საჭიროა გულუბყვრილოთა თვალების ასახვევად. მაგრამ ვინ არ ხედავს აქ აშკარა და ურცხვ თვალთმაქცობას? იწვევენ განიარაღების კონფერენციებს და აშენებენ სამხედრო გემებს და ტანკებს. ლაპარაკობენ მშვიდობიანობაზე და სამხედრო ფლოტს გზავნიან ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ, აძლიერებენ ჯარებს ახალშენებში და დიპლომატიურ ურთიერთობას სწყვეტენ საბჭოთა რესპუბლიკების უდიდეს კავშირთან...

აქ ბრძენისთვინაც კი ყველაფერი ნათელია: კაპიტალისტური ქვეყნები ომისთვის ემზადებიან. მაგრამ ვინ ყავთ ამოღებული მიზანში, ვის ემუქრებიან ან ვის წინააღმდეგ იქნება მიმართული უპირველესად ზარბაზნების ლულები? რასაკვირველია, მიზანში ამოღებულია საბჭოთა კავშირი. კაპიტალისტური სახელმწიფოები ვერ ითმენს, რომ დედამიწაზე არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც პოლიტიკური ძალა-უფლება მუშებისა და გლეხების ხელშია და სადაც კაპიტა-

ლისტებსა და მემამულეებს აღარ შეუძლიათ მშრომელთა ექსპლოატაცია. ისინი ვერ ურიგდებიან საბჭოთა მთავრობის ნამდვილ და არა თვალთმაქცურ მშვიდობიანობის პოლიტიკას.

კაპიტალისტური სახელმწიფოები სხვების დაპყრობით, ჩაგვრით და ექსპლოატაციით სულდგმულობს.

სამხედრო საქმის მექანიზაცია



ტანკების რაზმი, იერიშებისათვის გამზადებული.

საბჭოთა მთავრობა კი მიზნად ისახავს საერთაშორისო მშვიდობიანობას; ის მოითხოვს თავდაუსხმელობის გარანტიას; ნამდვილ განიარაღებას, ჯარების შემცირებას და დაპყრობილ ქვეყნების, ახალშენების, განთავისუფლებას უზომო ექსპლოატაციისაგან. ყოველივე ეს ჩვენი პოლიტიკის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარეობს და აქ თვალთმაქცობას ვერავინ დაგვწამებს.

ჩვენ ომი არავისთან არ გვინდა, არავის თავს არ დავესხმით. ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა. ეს ჩვენთვის აუცილებელია, რომ მთელი ჩვენი ძალები სოციალისტურ აღმშენებლობას მოვახმაროთ. მაგრამ, როცა ვხედავთ საყოველთაო მზადებას ომისთვის, როცა საეჭვო არაა—ვინ ყავთ ამოღებული მიზანში უმთავრესად, მაშინ სულელური თავგანწირვა იქნებოდა არ გვეზრუნა თავდაცვაზე.


შეიძლება ვინმემ იფიქროს, მაინც რას გავხდებით, რა კი მთელი უპირატესობა, ფული, იარაღი, ტეხნიკა, ჩვენი მტრების მხარეზეაო. ასეთ შიშსა და უიმედობას არავითარი საფუძველი არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენ შორის. მართალია სამხედრო ტეხნიკით კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენზე წინა სდგას, მაგრამ თავდაცვისათვის მზადების მიზანიც სწორედ ის არის, სხვათა შორის, რომ ჩვენც გვქონდეს ასეთი ტეხნიკა, რომ მტერს მისივე იარაღით შევებრძოლოთ. რაც უფრო ძლიერია მტერი, მით უფრო მეტი ენერგიით უნდა ვემზადოთ თავდაცვისათვის.

მაგრამ ტანკები და ზარბაზნები მაშინაა საშიში მოწინააღმდეგისათვის, როცა ისინი ერთგული ჯარის ხელშია. სწორედ აქაა ჩვენი მტრების სუსტი მხარე. არც ერთი ქვეყნის მოსახლეობას, ე. ი. მუშებს და გლეხებს ომი არ უნდათ. რაც უნდა ეცადონ კაპიტალისტებმა, თავდასხმით ომისადმი განწყობილებას, და ისიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვერ გამოიწვევენ მასებში. ამას

გვიმტკიცებს ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში. საბჭოთა კავშირში ყველა ხალისით ეკიდება თავდაცვის საქმეს. ასე როდია კაპიტალისტურ ქვეყნებში. საფრანგეთში, მაგალითად, ლეგალური გაზეთიც კი გამოდის და პროპაგანდას აწარმოებს ომისათვის მზადების წინააღმდეგ. ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირის, მთელი ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა ამ საიმედო ციტადელის, წინააღმდეგ ომის დაწყება და წარმოება არც ისე ადვილი საქმეა ჩვენი მტრებისთვის.



ანტიმილიტარისტული გაზეთი „ლა კაზერნ“, რომელიც გამოდის საფრანგეთში და აგიტაციას ეწევა ომისა და გასამხედროების წინააღმდეგ.



შეზღვაური გაზის საწინააღმდეგო ნიღაბით აღჭურვილი.

მომწამვლელი გაზი მოსპობს, ვინც არ იცის მისგან თავდაცვა.

ჩვენი რევოლუციონური წითელი არმია კი აბსოლუტურად საიმედოა. აქ ადგილი არა აქვს კლასობრივ წინააღმდეგობას ჯარსა და გაბატონებულ კლასს შორის. საბჭოთა კავშირში მთავრობა, ჯარი და მოსახლეობა საერთო მიზანს ემსახურება, თავის საკუთარ ინტერესებს იცავს. კიდევ მეტი: ყველა მშრომელთა და ჩაგრულთა დამცველია, კაცობრიობის უმაღლეს და ულამაზეს იდეალებს ემსახურება.


ამრიგად საომარი მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აშკარაა და ჩვენც მუდამ მზად უნდა ვიყოთ თავდაცვისათვის. ათი წელიწადია მტერი გვათვალიერებს, გვიტრიალებს ირგვლივ და ცდილობს ხელსაყრელი დრო იშოვნოს, რომ თავს დაგვეხსას. საბჭოთა მთავრობა ფხიზლადაა, წითელი არმია სადარაჯოზე სდგას, მაგრამ ეს არ კმარა თავდაცვისათვის. მომავალი ომი ყველა ომებზე უსასტიკესი და უსაშინელესი იქნება. ჯარი ფრონტებს დაიცავს, მაგრამ მას ზურგი უნდა გაუმაგროთ. მტერი მოახერხებს და გაზიან ბომბებს გადმოჰყრის სოფლებში და ქალაქებში. მოწამლავს მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომ არევდარევა გამოიწვიოს. ტრანსპორტი გააჩეროს და ჯარისთვის სურსათ-

სანოვაგესა და სამხედრო მასალების მიწოდება შეუძლებელი გახადოს. ვერც ერთი მთავრობა ვერავითარი საშუალებით ვერ შესძლებს ასეთ შემთხვევებში მცხოვრებთა დაცვას და გადარჩენას. ამიტომ ყოველი მოქალაქე უნდა ჩაეწეროს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში, აუცილებლად შეისწავლოს გაზის საწინააღმდეგო ნიღაბის გამოყენება, შეასწავლოს თავის შვილებს და მახლობლებს, თუ უნდა გადაარჩინოს მათი სიცოცხლე. დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, ყველამ უნდა გაეცნოს მომავალი ომის წესებს. ახალგაზრდობამ და ყველამ, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, უნდა შეისწავლოს კარგი სროლა.

სამხედრო საქმის მექანიზაცია.



ინგლისის ქვეითთა ჯარი ავტომობილით და გაზის საწინააღმდეგო მოწყობილობით.



ტანკების შებვედრა.

დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის გასამხედროებას. განათლების მუშაკებს, მასწავლებლებს, ბიბლიოთეკარებს, პოლიტმუშაკებს ბევრის გაკეთება შეგვიძლიათ ამ მიზნისათვის. ყველა უნდა ჩავეწეროთ თავდაცვა-ავიაქიმის წრეებში, შევისწავლოთ თავდაცვის საქმე და სხვებსაც შევაგნებიოთ ამ საქმის შესწავლის აუცილებლობა.

მომავალი ომი, რომელსაც უძღვები კაპიტალიზმი უმზადებს კაცობრიობას, მოითხოვს მთელი მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას ზურგში თუ ფრონტზე და ვინც მზად არ იქნება, ტყვილა დაიღუპება უსარგებლოდ და უმიზნოდ; დაიღუპება იმიტომ, რომ თავის დროზე, როცა მას ამისათვის მოუწოდებდენ, სულელური დაუდევრობა გამოიჩინა და არ გაეცნო ომის წესებს, არ შეისწავლა, როგორ გადაირჩინოს თავი, არ მოემზადა თავდაცვისათვის.

ინდუსტრიალიზაციის სესხი.

გარეშე საფრთხისაგან თავდაცვის შემდეგ დღევანდელ პირობებში საბჭოთა მთავრობის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ე. ი. საკუთარი წარმოების უმაღლეს წერტილამდე განვითარება. დღეს ჩვენ ძალებულნი ვართ უცხოეთიდან შემოვიტანოთ საწარმოო იარაღები, მანქანები. მაშასადამე ტეხნიკურად ჩამორჩენილები ვართ და მილიონებს ვგზავნით უცხოეთში მანქანების შესაძენად. რომ ეს ასე აღარ გაგრძელდეს, საჭიროა ჩვენშივე გავაჩაღოთ საწარმოო იარაღების წარმოება, მანქანების შენება. ამ საქმეს მეტად დიდი თანხა სჭირდება, მაგრამ მაინც უნდა შევსძლოთ ეს. თუ კი (მიუხედავად ომში დამარცხებისა და ხანგრძლივი გამანადგურებელი სამოქალაქო ომისა) საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა შესძლეს სახალხო მეურნეობის აღდგენა და ომამდე არსებულ დონემდე აყვანა,—რის მეტი ვერც ომში გამარჯვებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა შესძლეს—და ჩვენ კი ზოგიერთ დარგში ომამდი არსებულ დონესაც გადავაცილეთ,—თუ კი ეს უძნელესი გასაჭირი დავსძლიეთ უსასტიკეს პირობებში, აწი მოსალოდნელი დაბრკოლებანი, უეჭველია, გულს ვერ გაგვიტეხს.

ჩვენი მტრები ფიქრობენ, რომ **დაგვამარცხებენ** ფულითა და ძლიერი ტეხნიკით, მაგრამ გვიქმნიან მხოლოდ **დაბრკოლებებს**. და ჩვენ მას გადავლახავთ.

აი, მაგალითად, მომავალ სამეურნეო წელს გადაწყვეტილია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას მოხმარდეს **ერთი მილიარდი და 166 მილიონი მანეთი**. ამით ისეთი ურყევი საფუძველი ჩაეყრება საბჭოთა კავშირში მრეწველობის განვითარებას, რომ სოციალისტური მშენებლობის უფრო სწრაფი ზრდა სავსებით უზრუნველყოფილი იქნება.

ამავე მიზანს, ე. ი. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებას ემსახურება **ინდუსტრიალიზაციის სესხიც**: ის 200 მილიონი მანეთი, რომელიც ხაზინაში შევა ობლიგაციების გაყიდვით, მოხმარდება ახალ ფაბრიკა-ქარხნების და ელექტრო-სადგურების აგებას. ამით იმატებს წარმოება, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და გაიაფდება საქონელი. ვინც ამ სესხის ობლიგაციებს შეიძენს, ის ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ

აღორძინებას; ხუთ მანეთიანი ობლიგაციის შეძენით ჩვენ ერთ აგურს ვუმატებთ მომავალ კომუნისტურ საზოგადოების საფუძველს.

და მართლადაც ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერა და ობლიგაციების შეძენა ძლიერ გაადვილებულია ყველასათვის. **თითო ობლიგაცია ღირს 25 მანეთი: შეიძლება მეხუთედის შეძენაც 5 მანეთად. ობლიგაციები გამოშვებულია ათი წლის ვადით და წლიურად იძლევა 6½ სარგებელს. კოლექტიური ხელის მოწერის დროს დაშვებულია დიდი შეღავათი—ობლიგაციების ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ 7 თვის განმავლობაში.**

ყოველივე ეს შეღავათები დაშვებულია იმ მიზნით, რომ ობლიგაციების გასაღებაში მონაწილეობა მიიღოს ფართე მასებმა. ასეთ შეღავათიან პირობებში ყოველ მუშა-ცოსამსახურეს, რაც გინდ მცირე იყოს მისი ხელფასი, მაინც შეუძლია შეიძინოს მეხუთედი ობლიგაცია.

ყველაზე უფრო აქტიური მონაწილეობა ამ სესხის დაფარვაში უნდა მიიღონ განათლების მუშაკებმა და განსაკუთრებით მასწავლებლებმა, არა მარტო ობლიგაციების შეძენით, არამედ სესხის სასარგებლოდ მოსახლეობაში აგიტაცია-პროპაგანდის გაწევით.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციის საანგარიშო, რომელშიც მოგვებიანი ფასია ქაღალდი. მოგებისათვის ყოველწლიურად გადაიდებულია 12 მილიონი მანეთი.

ინდუსტრიალიზაციის სესხში მოგების წანილი დადის, განაიდან პირველ დარაჟაზეც ერთი მოგება მოდის საშუალოდ 343 ობლიგაციაზე. შემდეგ მოგების წანილი მატულობს, რადგან მოგებათა რაოდენობა 6 წლის განმავლობაში იგივე რჩება და ობლიგაციის რიცხვი კი კლებულობს.

განდა ამისა ინდუსტრიალიზაციის სესხი იძლევა შემდეგ შემოსავალს: 25 მანეთიანი ობლიგაციები გაიყიდება 24 მანეთად. მანანაცდაში, მანეთის ან იგივეს მაყიდველი. სესხის წლიური საერთო ხელობა 8 პროცენტს და შეიძლება მაღალ იქნეს წელიწადში ორჯერ: 1 მაისს და 1 ოქტომბერს, მთელ ობლიგაციაზე 75 კაპ. და 5 მანეთიან კუპონზე - 15 კაპ.

ობლიგაციები შეიძლება გაყიდოთ, დაგეპრაოთ ან შენ მისცეთ, როდესაც გინდათ.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გაყიდვა დაიწყება ამა წლის ოქტომბრიდან და გაგრძელდება ნოემბრის 15-ამდე.

ობლიგაციების შეძენა შეიძლება ფინანსიურ სალარონში, ბანკში და მათ გამოსაღლებში, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებებში, კომუნალურ ბანკებში, შემნახველ სალარონში და ოფისი-წესიერების დაწესებულებებში.

25 მაისიამდე თბილისელებმა გააცილეს 24 მაისიდან, 5 მაისიამდე კუპონი ეღირება 4 მან. და 80 კაპ. ვინც ცალკეულ მაისიდან გადასცდა მთელ ღირებულებას, 25 მაისიამდე თბილისელებმა დაითმინეს 23 მ. და 75 კაპიკად. 5 მაისიამდე კუპონი ეღირება 4 მ. და 75 კ.

ინდივიდუალურმა მცდელობამ, თუ ორმაის გადასცდა ნაწილ-ნაწილ სურს, 25 მაისიამდე თბილისელებისათვის უნდა შეადგინოს ნოემბრის 15-მდე 6 მაისია და დანარჩენი თანხა იყოს ექვს-ექვს მაისიათვით—პირველად 1927 წლის 5 დეკემბრამდე. შემდეგ ამავე წლის 20 დეკემბრამდე და უკანასკნელად—1928 წლის 1 იანვრამდე.

5 მაისიამდე კუპონის მცდელს შეაქვს პირველად, ნოემბრის 15-მდე 1 მ. და 20 კაპ. დანარჩენი ღირებულებად ექვს-ექვს ამაზოთით შეიძლ ნაჩქარევ ვადებში.

ვოლექტიური მცდელობისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები: პირველი ნაწილი—4 მან. მთელი 25 მაისიამდი თბილისელებისათვის, ან 80 კაპ. 5 მაისიამდი კუპონისათვის—უნდა შეტანილი იქნეს ა. წ. ნოემბრის 15-მდე. დანარჩენი თანხა კი შემდეგ ვადებში: ა/წ. დეკემბრის 20-ე, 1928 წლის იანვრის 31-მდე, ამავე წლის, თებერვლის 29-მდე, მარტის 31-მდე და აპრილის 30-მდე.

მისაბაძი მაგალითი

ოქტომბრის პირველს ამხ. კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელმა. ამ სკოლაში სულ 54 მუშა-მოსამსახურეა. კრებამ დაადგინა: გადასდონ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების შესაძენად ნახევარი თვის ხელფასი, რაც შეადგენს 2,500 მანეთს.

დანარჩენმა სკოლებმაც უნდა მიბაძონ ამ მაგალითს და გამართონ კოლექტიური სელისმოწერა, რაც უფლებას იძლევა ობლიგაციის ღირებულება გადახდილ იქნეს 7 თვის განმავლობაში.

ხუთ მანეთიანი კუპონები მაინც შევიძინოთ ყველამ და ამით დავამტკიცოთ ჩვენი აქტიური მონაწილეობა ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

მაზდეგა ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად.

— განათლების მუშაკთა კავშირის კულტგანყოფილებამ დაუგზავნა ყველა სამაზრო განყოფილებებს ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის დღესასწაულის ჩასატარებლად შემდეგი საინსტრუქციო წერილი:

„ახლოვდება ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის საიუბილეო დღესასწაული. ზემოაღნიშნული დღესასწაულების ჩასატარებლად საჭიროა წინასწარი სამზადისი მუშაობის წარმოება. სამაზრო განყოფილებებმა საჩქაროდ უნდა შეადგინონ დღესასწაულის ჩასატარებლად ადგილობრივ პირობების მიხედვით შესაფერი გეგმა.

ამ დღესასწაულის ჩატარების დროს ნათლად და მკაფიოდ უნდა იქნეს დასურათებული განათლების მუშაკთა ფართო მასის წინაშე ჩვენი კავშირის მონაწილეობა და მნიშვნელობა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარის განმტკიცების და სოციალისტურ მშენებლობის საქმეში და მათი მონაწილეობა საბჭოებში, კოოპერატივებში და სხვა დაწესებულებებში შესაფერისად უნდა იქნეს გაშუქებული, რომ ნათელვყოთ განათლების მუშაკთა მასის როლი, როგორც ადგილობრივი კულტძალის, პარტიის ხაზის გატარებაში მოსახლეობის ფართე მასაში საზოგადოებრივ მუშაობის და სკოლის საშუალებით.

ამ დღესასწაულის ჩასატარებლად საჭიროა გამოიყოს კომისიები კავშირების ორგანოებთან და რწმუნებულები ადგილკომებთან არსებულ კულტკომისიებიდან. ზემოაღნიშნულ კომისიებმა უნდა შეუთანხმონ თავიანთი მუშაობა ადგილობრივ საკავშირო საიუბილეო კომისიას.

კომისიების ამოცანას შეადგენს გამოარკვიოს კავშირების მუშაობის მიღწევები ამ 10 წლის განმავლობაში, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილენი ჩააბან დღესასწაულის ჩატარებაში და ამ დღისათვის გამოიყენონ კულტ-მუშაობის ყველა სახეები და ფორმები.

დღესასწაულის ჩატარების გეგმა. 1) ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულზე საჭიროა გარკვევით იყოს აღნიშნული განათლების მუშაკთა საზოგადოებრივი მუშაობა, მათი მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობის და განათლების ორგანიზაციის საქმეში.

2) საკავშირო ორგანიზაციებმა ადგილობრივ პირობების მიხედვით დღესასწაულის ჩატარების დროს უნდა გამოიჩინონ მეტი შემოქმედება და უარყონ შაბლონიურად დღესასწაულის ჩატარება. თითეულ განათლების მუშაკმა აქტიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ დღესასწაულების ჩატარებაში (ცოცხალი გაზეთი, ინსცენიროვკა, სხვა კავშირებთან ერთად პროფკავშირთა მიღწევების გამოფენა, განათლების სახლების მხატვრულად მორთვა და სხვა).

3) გაშუქებულ უნდა იქნეს ჟურნალ „განათლების მუშაკ-“ში განათლების მუშაკთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მათი როლი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვ. განმტკიცების საქმეში.

4) მოხსენებების და ლექციების მოწყობა გ. მ. სახლებში განათლების კუთხეებში, კრებებზე და კონფერენციებზე ათი წლის განმავლობაში მრეწველობის, მეურნეობის და კულტურულ მშენებლობის დარგში.

5) მოეწყოს ექსკურსიები რევოლუციონურ მუზეუმში და სხვა საწარმოში.

6) განათლების მუშაკმა განსაკუთრებით სოფლად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარების საქმეში.

7) სასურველია გადაღებულ იქნეს ფოტოგრაფიული სურათები ოქტომბრის დღესასწაულის მნიშვნელოვან მომენტებისა. სამ. განყ. ევალებათ დღესასწაულის ჩატარების შემდეგ გადაარჩიონ უფრო საინტერესო მასალები და გადმოგზავნონ განათლების კავშირის ცენტრალურ გამგეობაში.

8) ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად, როგორც სამზადისი მუშაობა, აგრეთვე თვით ზეიმის ჩატარება უნდა იყოს აღრიცხული“.

— განათლების მუშაკთა კავშირის ხაზით ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად მოწვეული იყო კომისია ამხ. ამხ. ჭეიშვილის, ძიძიგურის, გოგლიჩიძის, სუხოვის, მდივნიშვილის, გორინას და დევიძის შემადგენლობით. ს. პ. კ. ს. მიერ შედგენილ საორიენტაციო გეგმის თანახმად გამომუშავებულ იყო დაწვრილებითი გეგმა განათლების მუშაკთა შორის ქალ. ტფილისში დღესასწაულის ჩატარებისა. ამ გეგმით მუშაობის საწარმოებლად კომისიამ საჭიროდ სცნო ქვეკომისიების გამოყოფა.

1) კედლის გაზეთის გამოცემის ხელმძღვანელობა დაევალა ამხ. ძიძიგურს.

2) გამოფენა და დეკორატიული მხარე— ამხ. გორინას.

3) „აგიტ-კარნავალის“ მოწყობა—ამხ. გოგლიჩიძეს.

4) საღამოების ჩატარება – ამხ. ამხ. გოგლიჩიძეს, სუხოვს, დევიძეს.

ქვე-კომისიების ხელმძღვანელები იწვევენ მცოდნე და გამოცდილ ამხანაგებს დაწვრილებით გეგმის გამოსამუშავებლად. ამის შემდეგ ქვე-კომისიის ხელმძღვანელები წარმოადგენენ გეგმას კომისიის სხდომაზე დასამტკიცებლად. შემდეგ ქვე-კომისიები და კომისია შეუდგება პრაქტიკულ საქმიანობას ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის ჩასატარებლად.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავის ჩატარება ტფილისის განათლების მუშაკთა სახლის (გეგმა).

I პირველ ოქტომბრიდან განათლების მუშაკთა სახლში მოეწყოს მოხსენებები შემდეგ თემებზე:

1) საბჭოთა წარმოება ოქტომბრის რევოლ. 10 წლის თავზე (ქართულ ენაზე).

2) პროფკავშირების როლი ოქტომბრის რევოლუციაში. (რუსულ ენაზე).

3) საერთაშორისო მდგომარეობა ოქტომბრის რევ. 10 წლის თავზე (სომხურ ენაზე).

II მოეწყოს ექსკურსიები სარევოლუციო მუზეუმში და ოქტომბრის რევოლ. 10 წლის აღსანიშნავად გამართულ გამოფენაზე.

(ჯანმრთელობის კომისარიატი, განათლების კომისარ., პროფკავშირები, კლუბები და სხვა).

III ჩატარებულ იქნას საღამოები განათლების მუშაკთა ცენტრალურ სახლში 5, 6 და 7 ოქტომბერს.

საღამოები შინაარსით დაკავშირებული უნდა იქნეს ოქტომბრის რევ. მთავარ მომენტებთან.

1—საღამო—მოგონებანი, ინსცენიროვკა, კინო.

2—საღამო—ოქტომბრის მიღწევების აღსანიშნავი—გამოფენა და სამხატვრო განყ.—კონცერტი.

3—საოჯახო—საღამო.

საღამოების ჩასატარებლად გამოიყოს განსაკუთრებული კომისია.

IV 7 ოქტომბერს პოლიტიკურ დემონსტრაციაში განათლების მუშაკთა მასიური გამოსვლა. ადგილკომებთან გამოიყოს დელეგაციები ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად.

V „აგიტ-კარნავალის“ მოსაწყობად დეკორატიულად მოირთოს ავტომობილები, რომლებზედაც ნაჩვენები იქნება ოქტომბრის 1 წლის თავზე პოლიტიკურ-საწარმოო ყოფა-ცხოვრების საგულისხმიერო მომენტები.

VI მოეწყოს განათლების მუშაკთა სახლში გამოფენა შემდეგი ფორმით: ლოზუნგები, პლაკატები, დიაგრამები.

გამოიცეს კედლის გაზეთი (გამოიყოს ქვე-კომისია კლუბის გამგეობის წარმომადგენლიდან, ბიბლიოთეკების გამგისა და სამხატვრო წრეების წარმომადგენლისაგან).

VII ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის გაშუქებას ჟურნალ „განათლების მუშაკში“ დაეთმოს შესაფერი ადგილი.

ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში მოთავსდეს ცნობები საუბილეო მასალის შესახებ.

VIII განათლების მუშაკთა სახლთან არსებული ბიბლიოთეკა უნდა შეივსოს ოქტომბრის რევოლუციის და მისი მიღწევების გამაშუქებელ ლიტერატურით. მოეწყოს წიგნების გამოფენა, შესდგეს წიგნების სარეკომენდაციო სია.

ნიკ. ჭეიშვილი

საბიბლიოთეკო მუშაობა განათლების მუშაკთა კავშირში.

განათლების მუშაკთა კავშირი საბიბლიოთეკო მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენების საქმეს უდიდეს ყურადღებას აქცევს, ვინაიდან საბიბლიოთეკო მუშაობას კულტ-მუშაობის საერთო ქსელში მეტად საპატიო ადგილი უჭირავს. განათლების მუშაკთათვის ბიბლიოთეკა, წიგნი და გაზეთი, საუკეთესო იარაღებია მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და თვითგანვითარების მისაღებად.

მასწავლებელი განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდეს თავის კულტურულ დონის აწევისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ დააკმაყოფილებს უახლესი პედაგოგიკის მოთხოვნებს და ვერ გახდება თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრების აქტიური წევრი.

განსაკუთრებით ბეჭდვითი სიტყვა კულტურულ ცენტრებს დაშორებულ, მიყრუებულ ადგილებში ერთად ერთი იარაღია განათლების მისაღებად. ყოველივე

ზემოაღნიშნული გვიკარნახებს მივიღოთ შესაფერი ზომები ბიბლიოთეკების მუშაობის გასაუმჯობესებლად, რაც საშუალებას მისცემს განათლების მუშაკს არ ჩამორჩეს თანადროულობას და წინ წასწიოს თავის შრომის ნაყოფიერება.

უპირველეს ყოვლისა მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს განათლების განყოფილების და კავშირის ხაზით ცალ-ცალკე ბიბლიოთეკების დაარსება. ასეთი პარალელიზმი საბიბლიოთეკო მუშაობაში ანაწილებს ისედაც მცირე თანხას, ჭსაჭსავს ძალებს, იწვევს ზედმეტ ხარჯს და მით ძალზე ასუსტებს საბიბლიოთეკო მუშაობას.

საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ განათლების განყოფილების პედაგოგიური და კავშირის ბიბლიოთეკები გაერთიანდეს ერთ განათლების მუშაკთა ბიბლიოთეკებად.

კავშირის სამაზრო და განათლების განყოფილებამ ადგილობრივ პირობების მიხედვით უნდა გამოიმუშაონ გაერთიანებულ ბიბლიოთეკების ქსელი და შეადგინონ მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვა მათ შესანახად. სტაციონალურ ბიბლიოთეკებთან უნდა მოეწყოს მოძრავი ბიბლიოთეკები, კოლექტიური აბონემენტები და საცნობარო ლიტერატურა. გაერთიანებულ ბიბლიოთეკებს საერთო ხელმძღვანელობას უწევს საკავშირო ორგანოები, ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობას კი უძღვება საბიბლიოთეკო კომისია, რომელშიც შედის სკოლის გამგე ან მისი რწმუნებული, სამაზრო ქალაქებში და ცენტრში (ტფილისში) კი განათლების განყოფილების წარმომადგენელი. ბიბლიოთეკების შესანახად საკავშირო ორგანოებმა უნდა გაიღოს ადგილკომის კულტ-ფონდიდან 50% და განათლების მუშაკთა სახლების ხარჯთ-აღრიცხვის საერთო თანხის 15%. განათლების განყოფილება კი იხდის თავის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით დაახლოვებით 2 მან. თითეულ სოფლის მასწავლებელზე, 1 მან. ქალაქის მასწავლებელზე. ამას გარდა განათლების განყოფილება კისრულობს ბიბლიოთეკებში მომუშავეების ხელფასის გადახდას შემდეგი ანგარიშით: თემის ბიბლიოთეკაში 1—1½ სამუშაო დღისას კვირაში, 3 სამუშაო დღისას მაზრაში, ცენტრში კი ყოველ 300 მკითხველზე თითო მომუშავესას. (იხ. განათლების მუშ. სახლებში მომუშავე ბიბლიოთეკარების სრულიად საკავშირო პირველ თათბირზე წაკითხული მოხსენება ამხ. კოლგანოვისი. მასწ. გაზ № 37).

ბიბლიოთეკების ქსელი იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ რაც შეიძლება ნაკლები ძალა და სახსარი დაიხარჯოს, ხოლო ბიბლიოთეკების მუშაობის ნაყოფიერება მაქსიმუმამდი უნდა იქნეს აყვანილი. ამ თვალსაზრისით მიზანშეუწონელია ქალ. ადგილკომებთან სტაციონალურ ბიბლიოთეკების დაარსება. მა-

თი დაკმაყოფილება შეიძლება მოძრავი ბიბლიოთეკებით და კოლექტიური აბონემენტებით.

ბიბლიოთეკების ქსელის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მკითხველების პროცენტული რაოდენობა და კავშირის წევრების დაჯგუფება ამა თუ იმ ცენტრში. იქ სადაც ხელსაყრელი პირობებია—უნდა მოეწყოს სტაციონალური ბიბლიოთეკები.

სტაციონალური ბიბლიოთეკები უნდა აწარმოებდენ შემდეგი სახის მუშაობას: ბიბლიოთეკების წიგნებით შევსებას, მოძრავი ბიბლიოთეკების და კოლექტიური აბონემენტების ორგანიზაციას, გამოფენის, წიგნის საღამოების და ლიტერატურულ გასამართლების მოწყობას.

ბიბლიოთეკების წიგნებით შევსების დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მკითხველთა შემადგენლობა--ეროვნების, პროფესიის, ასაკის და განათლების მხრივ—ტეხნიკური მუშაკებიდან დაწყებული და მეცნიერული მუშაკებით გათავებული; მკითხველთა კოლექტიურ აზრს უნდა გაეწიოს აგრეთვე ყურადღება.

ყოველივე ამისათვის საჭიროა კვალიფიკაციის მქონე ბიბლიოთეკარი, რომელიც გაცნობილი უნდა იყოს საკავშირო მუშაობას და გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს მკითხველთა ინტერესი. ბიბლიოთეკარი ყოველი მიზეზის გარეშე უნდა ეცნობოდეს საბიბლიოთეკო მუშაობას სახელმძღვანელო ჟურნალების („ბიბლიოგრაფიული ბიულეტენი“, „წითელი ბიბლიოთეკარი“, „წიგნი და პროფ-კავშირები“ და ჟურნალ „განათლების მუშაკის“) საშუალებით.

ბიბლიოთეკარი ახლო უნდა იდგეს განათლების მუშაკთა სახლთან, ის უშუალო მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საკავშირო კულტ-მუშაობაში. ბიბლიოთეკარი კარგად უნდა იცნობდეს თანადროულობას, რომ მან შესძლოს თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები გამოამჟღავნოს საბიბლიოთეკო მუშაობის სხვადასხვა სახეობაში.

როდესაც თანადროულობაზე გვაქვს საუბარი უნდა დაისვას ომის რეალურ საშიშროების და თავდაცვის საკითხი. ბიბლიოთეკამ თავდაცვის საქმეშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს: ხელი უნდა შეუწყოს მეურნეობის განსავითარებლად და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გასატარებლად საჭარო წიგნების გავრცელებას, სამხედრო ლიტერატურით ბიბლიოთეკის შევსებას და სხვ. ყოველივე ამასთან ბიბლიოთეკაში უნდა ეწყობოდეს სამხედრო ლიტერატურის და პლაკატების გამოფენა, სამხედრო შინაარსის წიგნების გასარჩევად საღამო-

ების მოწყობა, კედლის გაზეთის გამოყენება მოსახლეობის გასამხედროების მიზნით და სხვ.

აქედანვე უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები, რომ ბოლო მოეღოს „კუსტარულ“ მუშაობას საბიბლიოთეკო დარგში. დროა ურყევად შევიმუშაოთ გეგმიანი მუშაობის სისტემა და მით ხელი შეუწყოთ საბიბლიოთეკო მუშაობის გაჯანსაღებას.

მ. სტეფანოვი.

ტფილისის ადგილკომთა ქსელის სტრუქტურა.

ზედმეტი არ იქნება თუ შევეხებით ჩვენი ყოველდღიური პროფმუშაობის ზოგიერთ მხარეებს – ადგილკომთა რეორგანიზაციის შემდეგ, რომელიც იქნა ჩატარებული 2 წლის წინად, პროფკავშირთა მე VI ყრილობის დადგენილების თანახმად.

რეორგანიზაციამდი ჩვენი ქსელი, როგორც ვიცით, შესდგებოდა 18 ადგილკომისაგან.

1925/26 წელში ადგილკომთა რიცხვი, ზემოაღნიშნულ ყრილობის დირექტივების თანახმად 113-მდე ავიდა, მაგრამ ადგილკომთა ასეთმა დიდმა რიცხვმა და ამასთან ერთად მომზადებულ პროფმუშაკთა სიმცირემ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი. თვით პროფმუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ადგილკომთა ასეთი რაოდენობა წარმოადგენდა ძლიერ რთულ და მოუქნელ აპარატს, რომელიც მოუხერხებელი გამოდგა რომელიმე პროფმუშაობის ნაყოფიერად ჩატარებისათვის. ამის გამო გასულ სამოსწავლო წელში, ადგილკომთა რიცხვი დაყვანილ იქნა 81-თამდე. დამოუკიდებელი ადგილკომები დარჩა იმ დაწესებულებებში, რომელნიც აერთიანებდენ არა ნაკლებ 25 მუშაკისა. საერთო შემცირება კი მოხდა იმ ადგილკომთა რიცხვის ხარჯზე, რომელნიც აერთიანებდენ რამოდენიმე დაწესებულებას, სადაც 25-ზედ ნაკლები იყო თითოეულში და რომელნიც ტერიტორიალურად ერთი-მეორესთან ახლო მდებარეობდენ. ქსელის ასეთ ცვლილებას მოყვა ის, რომ ჩვენ მივიღეთ მსხვილი ერთეულები რომელნიც აერთიანებდენ 100-150 და ხშირად 200 მუშაკს სრულიად ან ნახევრად თავისუფალ ადგილკომის თავმჯდომარეობით.

როგორ სრულდებოდა ჩვენი ადგილკომების მიერ მათზე დაკისრებული ამოცანები და შესძლეს თუ არა მათ თავისი დანიშნულების გამართლება? ამ

საკითხის შესახებ უნდა ითქვას, რომ მუშაობის სიმძიმის ცენტრი გასულ პერიოდში ადგილკომებიდან ც. გამგეობაში იქნა გადატანილი, რასაც ადასტურებს შემდეგი მოვლენა:

ადგილკომთა წევრნი, საერთოდ ყველა იმ საკითხთა გადასაჭრელად და გამოსარკვევად რომელნიც კი მათ აწუხებდათ, მიმართავდენ ცენტრალურ გამგეობას; ადგილებზე შემფასებელ-საკონფ. კომისიები ც. გ. სატ.-საეკ. განყოფილების წარმომადგენლის დაუსწრებლად ვერ ახერხებდენ ამა თუ იმ საქმის გარჩევას.

შ.-ს. კ. სხდომებზე ადგილკომების მაგიერ სატ.-საეკ. განყოფილების წარმომადგენლის აუცილებლად დასწრების საჭიროება უნდა აიხსნას, როგორც ადგილკომის წევრთა სუსტი კვალიფიკაციით, ისე იმითაც, რომ მათ (წევრებს) არ სურთ თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა საქმის გარჩევაში, ვინაიდა ხშირად გარჩევის შედეგით ადმინისტრაციაა დაინტერესებული.

გარდა ამისა, გაუნთავისუფლებელი ადგილკომის თავმჯდომარე, როგორც ყოველივე ჩვეულებრივი მასწავლებელი, ვერ კმაყოფილდება მარტო თავისი ძირითადი განაკვეთით, რომლის მიხედვით ის თვეში 40-50 მან-დე ღებულობს და ძალუებულია დაიტვირთოს ზედმეტი გაკვეთილებით, როგორც სკოლაში, ისე კერძოდ. პროფესიონალური მუშაობა კი მოითხოვს განსაზღვრულ კვალიფიკაციას.

თვალყური თუ არ ადევნე პრესას, არ დაესწარი კავშირისა და საკავშირო კონფერენციებს, საინსტრუქტორო მოხსენებებს, ძნელია გახდე კარგი პროფმუშაკი ისეთი ადგილკომებისათვისაც კი რომელნიც აერთიანებენ 40-50 მუშაკს.

შრომის დაცვის, შ. ს. კ. და კულტ-კომისიებში, ხშირად წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომელნიც მოითხოვენ მეტ ცოდნას და გამოცდილებას, ასეთი კი ჩვენს პროფმუშაკთ არა აქვთ.

ზემოხსენებულ კომისიების შესახებ არსებული მოკლე დებულებანი, შესაძლებელია საკმარისი იყოს ფართე მასებისათვის, მაგრამ არ არის საკმარისი ჩვენი პროფაქტივისათვის.

ადგილკომის მუშაკთა კვალიფიკაციის ზრდას ხელს უშლის აგრეთვე წევრთა ყოველწლიური გადახალისება, რომელიც ზოგიერთ ადგილებზე 75% და ხანდისხან, უსაფუძვლოდ უფრო მეტითაც ტარდება.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კონფლიკთთა გაჭიანურება, მათი მასიური გადაცემა სასამართლოებზე, აიხსნება არა იმით, რომ შეუძლებელია ადგილობრივად შ. ს. კ. სხდომებზე მისი გადაწყვეტა, არამედ იმით, რომ ად-

გილკომის წევრნი და მუშათა ფრაქციის წარმომადგენელნი არ არიან გაცნობილნი შრომის კანონმდებლობას, არ არის საკითხი დამუშავებული შ. ს. კ. სხდომამდი და სხვ.

ამის გამო სრულებით ბუნებრივია, რომ ადგილკომებს არა აქვთ ავტორიტეტი და ნდობა მათ ამომრჩეველთა შორის.

სასამართლოს ინსტანციებში, საქმეთა მოძრაობის გამოკვლევამ, რომელიც მ.-გ. ინსპ. მიერ შარშან იქნა ჩატარებული, აღმოაჩინა საკავშირო მასშტაბით შ. ს. კ. საქმეების სრული ქაოტიური მდგომარეობა.

ინსტრუქტაჟის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: გასულ წლის ცდებმა გვიჩვენა, რომ ინსტრუქტორების მუშაობას ადგ. პროფმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების დარგში ძლიერ უშლიდა ხელს ადგილკომის წევრთა ძირითადი სამუშაო, რომელნიც ნაშუადღევის 2-3 და ხშირად 4-5 საათამდი გრძელდებოდენ, ხოლო დასვენების წუთები ცხადია არ იყო საკმარისი პროფთემებზედ საუბრებისათვის.

საჭიროა აქ შევეხოთ საკითხს ინსტრუქტორების შესახებ. ყოველ ინსტრუქტორს აქვს გამოყოფილი ცალკე რაიონი, რომელსაც უნდა გაუწიოს მან სამივე დარგში (ორგან. სატარ. და კულტ.) ხელმძღვანელობა, მაგრამ შ. ს. კ. სხდომებზე (სათათბირო ხმით) შრ. სახ. კომ. და სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციებში კავშირის წარმომადგენელად ჩვეულებრივად ინიშნება ტარიფზე მომუშავე ამხანაგი; უფრო სწორი იქნებოდა, რომ რაიონის ინსტრუქტორი თვით ესწრებოდეს შ. ს. კ. სხდომებს და ყველა სადაო საკითხების დაბოლოვება, რომელიც კი მის რაიონს ეხება—მასვე ჰქონდეს მინდობილი. მხოლოდ საქმის ასეთი დაყენებით შესძლებს ინსტრუქტორი პრაქტიკულად გაეცნოს სატარიფო ნაწილს, რომელიც ძლიერ მნიშვნელოვანია მისი (ინსტრუქტ.) კვალიფიკაციისათვის, როგორც პროფმუშაკისათვის.

ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ მოვიყვანთ ამონაწერს ამ საკითხის შესახებ, „Учительская Газета"-დან ა/წ. 2/IX № 36, რომელიც ეხება ქ. მოსკოვის ქსელის სტრუქტურის საკითხს:

„Московский губпрос не считает в настоящее время возможным размельчение групкомов, из-за невозможности .подыскать помещении для вновь образуемых групкомов, отсутствии подготовленнаго профактива и, наконец, распыления средств. Образование профуполномоченных на правах месткома, по мнению Губпроса, также нецелесообразно в постоящий момент, потому что это сильно усложнит работу губпроса. Все это побудило Губ-

прос обратитсья ЦК прос с предложением изменить положение в отношении Московск. губпроса.

Президиум ЦК проса, обсудив мотивы, выставленние Московским губпросом, разрешило ему не выделять профуполномоченных в учреждениях г. Москвы, насчитывающих от 15-24 работников обе'диняя их в групповых месткомах.

Президиум не возражает и против повишения нормы об'единяемых членов-групкомов гор. Москвы до 300 работников. (Согласно постановления с'езда до 200 чел.) но считает нужным согласовать это решение с ВЦСПС".

წვრილი ერთეულების შექმნასთან დაკავშირებით და რწმუნებულთა გამოყოფით, ბინის უქონლობას, ძალების დაქსაქსვას და მომზადებულ პროფაქტივის სიმცირეს ტფილისშიც ექნება ადგილი, მას ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ და ანგარიში უნდა გაუწიოთ.

ჩვენი მომავალი მუშაობა უნდა იქნეს მიმართული ადგილკომების (ჯგუფკომების) მსხვილი გაერთიანებისაკენ, უნდა ვეცადოთ, რომ მათი გაერთიანებანი შეიცავდენ არა ნაკლებ 250-300 კაც. განთავისუფლებული ადგილკომის თავმჯდომარეობით. ამავე დროს დატოვებულ უნდა იქნეს დამოუკიდებლად ის ადგილკომები, რომელნიც დაწესებულებებთან არსებობენ და 24 მუშის მეტს აერთიანებენ.

ასეთ შემთხვევაში მე VI ყრილობის დადგენილებისაგან დაშორება ძლიერ ცოტა იქნება და ც. კ. დათანხმდება ასეთ ცვლილებაზე, ვინაიდან ეს ჩვენი პროფმუშაობის გამოსაცოცხლებელ აუცილებლობით იქნება გამოწვეული.

ამხანაგებო! გაავრცელეთ განათლების მუშაკთა შორის თქვენი ჟურნალი.

გ. კაკუბერი.

ახალი კანონი შრომის გმირების შესახებ.

დამსახურებულ მუშაკთა შორის საკმაოდ მომწიფებულ საკითხს—შრომის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ—ა/წ. 27 ივლისს მოყვა საკავშირო მთავრობის მიერ სათანადო დადგენილება (იხ. გაზ. „იზვესტია“ № 177—1927 წ. 5 აგვისტო).

ეს დადგენილება რადიკალურად განსხვავდება შრომის გმირების შესახებ დღემდი არსებულ წესსა და უფლება-უპირატესობათაგან. ამ კანონის მიხედვით შრომის გმირის სახელწოდება ენიჭება ისეთ პირებს, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით წარმოების, სამეცნიერო მოღვაწეობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურის დარგში და რომელთაც დაქირავებით უმუშავნიათ არა ნაკლებ 35 წლისა [1]).

შრომის გმირის სახელწოდების მინიჭების უფლება აქვს ცაკის პრეზიდიუმს, სადაც სათანადო შუამდგომლობას გზავნის პროფსაბჭოები.

შრომის გმირებს, რომელთაც დაქირავებით უმსახურნიათ არა ნაკლებ 35 წლისა, პენსია ეძლევათ ფაქტიური ხელფასის $^3/_4$-ის რაოდენობით, მიუხედავად მათი შრომის უნარიანობისა და ჭონებრივ მდგომარეობისა. [2]) უკეთუ შრომის გმირი განაგრძობს დაქირავებით მუშაობას—მას მიცემა აღნიშნულ პენსიის ნახევარი.

შრომის გმირებს, რომელთაც დაქირავებით 35 წელზე ნაკლები უმსახურნიათ, პენსია აღნიშნულ რაოდენობით (მიუხედავად მათი ჭონებრივ მდგომარეობისა) ეძლევათ იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი ეკუთვნიან ინვალიდობის სამ ჯგუფის რომელიმეთაგანს.

პენსიის გამოანგარიშებას საფუძვლად ედება შრომის გმირის სახელწოდების მინიჭებამდი კალენდარული სამი თვის ხელფასის საშუალო რაოდენობა, ან

---

[1]) განსაკუთრებულ შემთხვევაში შრომის გმირის სახელწოდების მიღება შესაძლებელია 35 წელზე ნაკლებ სტაჟიანთათვისაც.

[2]) პენსიის გაცემა სწარმოებს სოც. დაზღვევის ორგანოების სახსრებიდან.

ხელფასი უკანასკნელ სამი თვის დაქირავებით მუშაობისა, უკეთუ შრომის გმირის სახელწოდების მინიჭების დროს ის დაქირავებით არ მუშაობდა.

შრომის გმირის გარდაცვალებისა ან უკვალოდ დაკარგვის შემთხვევებში, პენსია მიეცემა მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს შემდეგნაირად: თუ სარჩენ პირთა რიცხვი უდრის სამს ან მეტს—მთელი პენსიის $^2/_3$-დი, თუ კი ორს—$^1/_2$ პენსია და თუ ერთს—პენსიის $^1/_3$-დი, მიუხედავად იმისა, ღებულობდა თუ არა შრომის გმირი მთელს თუ ნახევარ პენსიას ან სულ არ ღებულობდა.

შრომის გმირები თავისუფლდებიან შემოსავლის კვალობაზე დაწესებულ სახელმწიფო გადასახადისაგან, უკეთუ მათი წლიური შემოსავალი არ აღემატება 6.000 მანეთს, თუ კი აღემატება—საგადასახადოდ ნაანგარიშევ შემოსავლის საერთო რაოდენობას აკლდება აღნიშნული თანხა.

პენსია თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, და ამისათვის ის სამეურნეო შემოსავალში არ უნდა იქნეს აღრიცხული. სამეურნეო შემოსავლიდან პენსიის გამოკლებით შრომის გმირები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროს სარგებლობენ 20% შეღავათით.

გარდა ჩამოთვლილ შეღავათებისა ახალი კანონი ითვალისწინებს ბინისა და სხვა შეღავათებს, რომლის შესახებ დადგენილება უნდა გამოსცენ მოკავშირე რესპუბლიკებმა.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შრომის გმირობის სახელწოდების მისაღებად საჭიროა დამსახურების განსაკუთრებული ხასიათი. ეს უნდა ახსოვდეთ, იმათ ვინც მხოლოდ წელთა დამსახურების მიხედვით ამბობენ შეეცდება შრომის გმირის სახელწოდების მიღებას.

როგორ იცავს კავშირი თავის წევრებს

ოთხი წელია ტფილისში არსებობს პოლიგრაფიული წარმოების საქარხნო-საფაბრიკო სკოლა. სკოლა არსებობს თავის საკუთარი შემოსავლის და პოლიგრაფ ტრესტის ხარჯზე. გასულ სასწავლო წლის თითქმის დასასრულს, აპრილის პირველიდან, სკოლაში ხდება ცვლილება, გამოიცვალა სასწავლო ნაწილის გამგე. გან სახკომის პროფგანათლების მთავარმმართველობამ ახალ გამგეს ჯამაგირი გაუდიდა... ამაგე სკოლის მასწავლებელთა ხარჯზე. მასწავლებლებს დაუტოვა იგივე საათები და სამუშაო, მაგრამ ჯამაგირები დაუკლო და ახალ გამგეს მიუმატა. სხვის ხარჯზე ასეთი გულუხვობით მასწავლებლები უკმა-

ყოფილონი დარჩენ. საქმე გადაეცა საკონფლიქტო კომისიას, მაგრამ პროფტექნიკური მთავარმმართველობა არ დაეთანხმა ამ კომისიის გადაწყვეტილებას და კავშირმა საქმე გადასცა შრომის სასამართლოს. შრომის სასამართლომაც მასწავლებლების ძიება კანონიერად სცნო და დააკმაყოფილა.

x.

საჭმიანი კრება.

ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, საღ. 4 ს. ხაშურის განათლების მუშაკთა სახლში შესდგა ხაშურის რაიონის განათ. მ. კ-რის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 130 კ-რის წევრი. აღნიშნულ სხდომაზე მოწვეულნი იყვენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და საქ. განათ. კომ. არსებული რკ. გზის სკ. განყოფილების წარმომადგენელი ამხ. ს. ნუცუბიძე.

დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: ხელისუფლებასა და განათ. მ. კ-რის წევრთა დამოკიდებულების შესახებ. ხსენებულ საკითხის შესახებ ფრიად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა პარტკომის პ/მგ. მდივანმა ამხ. გიორგი კალმახელიძემ. დღევანდელ ხელისუფლების დროს მასწ. უდიდესი პასუხისმგებლობა აწევს. ამბობს მომხსენებელი, რადგან იგი ზრდის ახალ კომუნისტურ თაობას. გარდა ამისა მასწ. ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას, რითაც ხელს უწყობს ჩვენი მოსახლეობის კულტურულად გათვითცნობიერებას. მაგრამ ერთი ნაკლი აქვს ჩვენ მასწავლებლობას ეს მასიურად არ არის ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამაში, რა თქმა უნდა, დამნაშავეა, როგორც თვით მასწავლებელი, ისე ადგილობრივი ხელისუფლებაც, დასძენს მომხსენებელი. ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე ჩვენ ვეღარ ვილაპარაკებთ მასწავლებლის კონტრევოლუციონორობაზე, უკვე კარგა ხანი არის, რაც ჩვენი მასწავლებელი დადგა საბჭოთა პლატფორმაზე და მთელი თავის ენერგიით იბრძვის კულტურულ ფრონტზე. წინად ცოტაოდენ გაუგებრობას ჰქონია ადგილი მასწავლებლობასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის და ეს ყოფილა გამოწვეული მით, რომ ზოგიერთ ამხ. შესაფერისი ალღო ვერ აუღიათ სინამდვილისათვის. ეხლა კი ჩვენ გვმართებს, რომ უფრო დაუახლოვდეთ ერთმანეთს და შეერთებული ძალით გაათკეცებული ენერგიით ჩავებათ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამხ. გ. კალმახელიძემ თავის მოხსენება დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს განათ. მუშაკების და ხელისუფლების კონტაქტიურ მუშაობას“! დამსწრე ამხანა-

გებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს მომხსენებელი. ამის შემდეგ ილაპარაკეს ხაშურის განათ. მ. კ-რის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. ქურდევანიძემ, მასწ. ვლ. არეშიძემ, სეფე ლეჟავამ, გ. ზუმბაძემ და ირ. ჭიპაშვილმა, რომლებმაც თავის სიტყვებში, ის აზრი გაატარეს, რომ საჭირო არის მასწ. ჩაბმა მასიურად საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამასთანავე აღნიშნეს, რომ ხმები იყო გავრცელებული მასწავლებელთა დათხოვნაზე, რაც სათანადო ნერვიულობას იწვევდა მასწ. და ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს ნორმალურ მუშაობაზე. ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა განათ. კომ. წარმ. ამხ. ს. ნუცუბიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მასწავლებლებს არავინ არ ითხოვს ხაშურში, რადგან საამისო არაფერი დაუმსახურებიათ. უკანასკნელად სიტყვა წარმოსთქვა ქ. ხაშურის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ტ. ბუხრიკიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა მასწ. დათხოვნის საკითხს და დასძინა, რომ ვინც ასეთ ხმებს ავრცელებს ის ეწევა პროვოკაციას, მან მასწავლებელთ მოუწოდა, რომ ასი პროცენტით ჩაბმულიყვნენ საზოგადოებრივ ხასიათის ორგანიზაციებში. დაბოლოს უსურვა მასწავლებლობას ნაყოფიერი მუშაობა ახალ სამოსწავლო წელში.

ამი სშემდეგ კრების მიერ მიღებულ იქმნა შესაფერისი რეზოლუცია, სადაც ნაჩვენებია თუ რა ხასიათის ორგანიზაციებში უნდა მიიღოს მონაწილეობა მასწავლებლობამ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ერთი წლის წინად მოხდა პატარა გაუგებრობა განათ. მ. კავშირის წევრებსა და ადგილობრივ ზოგიერთ პარტკომის წარმ. შორის, რაც იყო გამოწვეული განათ. მ. კავშირის ადგილკომის არჩევნებით. დღეს კი არავითარ გაუგებრობას აღარა აქვს ადგილი და ხელიხელ ჩაკიდებული ვაწარმოებთ მუშაობას. ადგილობრივი პარტკომის მდივანი და აღმასკომის თავჯდომარე დიდად გვიწყობენ ხელს კავშირის მუშაობის პროცესში.

Harrateur

გახსოვდეთ, რომ ქურნალის გაგრცელებით თქვენ ხელს უწყობთ თქვენი ქურნალის გაუმჯობესებას.

ბიბლიოთეკართა ცხოვრება

მისალმება „განათლების მუშაკს“

სკოლის გარეშე განათლების სახლთან არსებულ ბიბლიოთეკარ-კორესპონდენტთა წრისაგან რედაქციას მოუვიდა შემდეგი მისალმება:

„სკოლის გარეშე განათლების სახლთან არსებული მაღალმთიანეთ-ჯორჯანეთის ბრიგადის განათლების მუშაკთა კავშირის ქურნალ „განათლების მუშაკი“-ს განასლების, რომელიც თავის განსაკუთრებულ „მაღალმთიანეთა ცხოვრების“ განყოფილებაში საშუალებას გვაძლევს სისტემატიურად გავაშუქოთ ჩვენი პროფესიის საჭიროებანი საკითხები, დავიცვათ ჩვენი პროფესიონალური ინტერესები და დაუკავშირდეთ ჩვენი სამაღალმთიანეთო მუშაობა სასკოლო მუშაობას.

მაღალმთიანეთა ეკონომიურ-ყოფილებრივი მდგომარეობა ჯერ კი ძალიან ნორმალური, განსაკუთრებით, პრივილეგიაში. მხოლოდ ქურნალის საშუალებით შეიძლებელია გავაჯერეთ სწორი შესედულება სამაღალმთიანეთო მუშაობაზე, რომელიც წარმოადგენს პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მუშაობის ერთ მნიშვნელოვან დარგს.

ბიბილოთეკარ-კორესპონდენტთა წრე.

ვ. ბროკნე.

ბიბლიოთეკართა სამუშაო დროს ნორმები სამაზრო ცენტრებში.

განათლების მუშაკთა კავშირის ხანგრძლივი მოლაპარაკება ტფილისის აღმასკომის განათლების განყოფილებასთან ბიბლიოთეკართა სამუშაო დროს ნორმების შესახებ დაბოლოვდა ბიბლიოთეკარების სასარგებლოდ: განათლების განყოფილებამ თანხმობა განაცხადა 5 საათის სამუშაო დროს შემოღებაზე. ეს გადაწყვეტილება უკვე სისრულეში მოყვანილია და ა/წ. ივნისიდან აღმასკომის პოლიტგანმანათლებელ ბიბლიოთეკების და სკოლის გარეშე განათლების სახლის თანამშრომლები აწარმოებენ მუშაობას ხუთი საათის განმავლობაში. შემოღებულია აგრეთვე ერთი თვის შვებულების ნორმა ბიბლიოთეკართათვის. ეს

ორი ფაქტი მნიშვნელოვანია, როგორც ნაბიჯი ბიბლიოთეკართა სამუშაო დროს ნორმების მასწავლებლებთან გათანასწორებისაკენ.

სამწუხაროა მაინც, რომ აღნიშნული უპირატესობანი ჯერ შეეხნენ მხოლოდ ტფილისში მომუშავე ბიბლიოთეკარებს. თუმცა სამაზრო ცენტრებში მომუშავეთა სამსახური არსებითად არ სხვავდება ტფილისის ბიბლიოთეკართა მუშაობისაგან. სამაზრო ბიბლიოთეკართა მუშაობის პირობები უცვლელი დარჩა და ჯერ ბევრჯერ უფრო რთულია პროფკავშირის მიერ (1924 წლის ტარიფით) მოწონებულ ნორმებთან შედარებით.

მაგალითად, ქუთაისიდან მოგვივიდა შემდეგი ცნობა: ქუთაისის მე-3 ინტერნაციონალის სახელობის ბიბლიოთეკისა და რაიონულ სამკითხველოების თანამშრომლები მსახურობენ $6^1/_2$ საათის განმავლობაში. ამასთან მათი მდგომარეობა კიდევ იმით არის გართულებული, რომ მათი სამუშაო დღე ორად არის გაყოფილი. რადგან განკარგულება მიეცათ, რომ ბიბლიოთეკა გაიხსნას ორჯერ დღეში: (დილას 4 საათის განმავლობაში და საღამოს $2^1/_2$ საათის განმავლობაში). ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომლებსაც ბინა რამოდენიმე ვერსით დაშორებული აქვთ, იძულებულნი არიან ფეხით გაიარონ ოთხჯერ დღეში ეს ვერსები. ან სახლში ვერ ბრუნდებიან დღის პირველი საათიდან ოთხ საათამდე. მკითხველთა მოთხოვნილებაზე არ ემყარება შემოღებული წესი, რადგან დიდი ხანია ბიბლიოთეკის მოსიარულეთა უმრავლე სობამ შეიტანა განცხადება, რომ ბიბლიოთეკის მუშაობა სწარმოებდეს განუწყვეტლად. შვებულების მხრივაც არ არიან გათანასწორებული ტფილისის ბიბლიოთეკარებთან.

როგორც გავიგეთ, ქუთაისის განათლების მუშაკთა კავშირის სამაზრო ბიუროს უკვე მიიღო ზომები ბიბლიოთეკართა მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. და იმედია იქ მალე სასურველად მოგვარდება ეს საკითხი. სხვა მაზრეიდან კი ჯერ არა გვაქვს ცნობები და საჭიროა რომ დაინტერესებულმა პირებმა შეგვატყობინონ საქმის მდგომარეობა.

სასურველია, ჩვენი კავშირის გამგეობამ მისცეს დირექტივა სამაზრო ბიუროებს, რომ ეცადონ, სამაზრო ცენტრების ბიბლიოთეკებში და სამკითხველოებში ტფილისის ნორმების შემოღების მიღწევას.

ამასთან უსათუოდ საჭიროა, რომ მოლაპარაკებანი კავშირისა და განათლების განყოფილებათა შორის ისე არ გაჭიანურდეს, როგორც ტფილისში. სამუშაო დროს ნორმების საკითხი ტფილისის ბიბლიოთეკათა მიერ დასმულ იყო პირველად 1925 წლის მაისში პრაქტიკულ შედეგებს კი მივაღწიეთ მიმდინარე 1927 წლის ივნისში. განათლების მუშაკთა კავშირის 1924 წლის ტარიფმა დიდი ხანია პრინციპიალურად გადასწყვიტა ნორმების საკითხი ბიბლიოთეკართა სასარგებლოდ. რადგანაც ბიბლიოთეკარები ჩარიცხულნი არიან პედაგოგიურ მუშაკთა შორის, რომელთა სამუშაო ნორმა 4 საათია დღეში. მიზანშეწონილია, რომ კარგი პრინციპების ცხოვრებაში განხორციელებისთვის უფრო მოკლე გზა დაგვჭირდეს ხოლმე.

ვარლამ ხუროძე.

მშობლიური ლიტერატურის და ენის სწავლ. საკითხები.

(მეთოდიური შენიშვნები)

I.

მშობლიური ლიტერატურა საზოგადო განათლების ქვაკუთხედია. ცოდნის არც ერთი დარგი არ იძლევა იმდენ განვითარებას, რამდენსაც ეს საგანი შეიცავს.

ლიტერატურა აშუქებს ადამიანის ნიჭიერებათა ყოველ მხარეს: ესთეტიურს, გონიბრივს და ზნეობრივს.

ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში ესთეტიურს, გონებრივსა და ზნეობრივ აღზრდას. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ესთეტიურად აღზრდილი ადამიანი უაღრესად სოციალურ არსებას წარმოადგენს, მას ღრმად იპყრობს გარეშეთა ბედის თანაგრძნობა, ზღუდავს პირად ეგოიზმს და მით ხელს უწყობს ადამიანთა გაკულტუროსნების საქმეს. ამავე დროს ის უმაღლესი ზნეობრიობის მატარებელიც არის, ვინაიდან მის შებოჭილ ეგოიზმს არ შეუძლია სხვებისათვის მოისურვოს ის, რაც მას არ სწადია თავის თავისათვის.

რაც შეეხება გონების ვანვითარებას, ანუ იმ ცოდნას, რომელსაც სამშობლო ლიტერატურის სწავლება იძლევა, ეს ყოველგვარ ცოდნაზე უფრო დასრულებული, ყოველმხრივი და ღრმა მნიშვნელობისაა. იგი იძლევა უპირველეს ყოვლისა სინამდვილის მხატვრულად განზოგადებულ სახეებს და მით ცოდნის სხვა დარგზე გაცილებით უკეთ შეგვაცნობინებს გარეშე ქვეყანას.

უნდა გადაჭრით და გულახდილად ითქვას, რომ ასეთი დიადი მნიშვნელობის საგნის სწავლება ჩვენს განახლებულ სკოლაში სრულებითაც არა სდგას იმ დონეზე, რომელიც მას შეეფერება. თითქმის ყველა სასწავლო საგნების მდგომარეობა გარკვეულ და ჩამოყალიბებულ მდგომარეობაში გვაქვს ჩაყენებული: ბუნების მეტყველმა იცის, რა უნდა ასწავლოს და როგორ უნდა ასწავლოს, მათე-

მატიკის მასწავლებელს მიზანიც ნათელი აქვს და საშუალებანიც, საზოგადოებათ მეცნიერების სწავლების საქმეც თითქმის მოწესრიგების პროცესშია შესული და მხოლოდ ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა არ იცის, რა მოცულობის არის მისი საგანი და რა უნდა ასწავლოს ახალთაობას. არ იცის, როგორ უნდა ემსახუროს დასახულ მიზანს და რა საშუალებით დაამუშაოს პროგრამით ნავარაუდევი მასალა.

რამდენიც მასწავლებელი გვყავს, იმდენ პროგრამულ თავისებურობასთან და მეთოდურ საშუალებებთან გვაქვს საქმე. ზოგიერთების აზრით ქართული ლიტერატურის ცოდნა მოთხრობათა შინაარსის ცოდნით ღა ამოიწურება. ასეთი ტიპის მასწავლებლები მეცხრე ჯგუფშიაც იმავე კითხვებს აძლევენ, რომელსაც მეხუთე ჯგუფში ჰქონდა ადგილი. იქაც შინაარსის გადმოცემას თხოვდენ და აქაც ასე იქცევიან. ამ გზით ისინი ყოვლად უსისტემოდ და შეუგნებლად აგროვებენ ლიტერატურულ ფაქტებს, რომელთა ლაბირინტში მოწაფე იბნევა და უთავბოლოდ დახეტიალობს.

ჩვენს სკოლას ბლომად მოეპოვება ისეთი მასწავლებლებიც, რომელთა წარმოდგენით საზოგადოებათ მეცნიერება და მშობლიური ლიტერატურა ერთი და იმავე მნიშვნელობის საგნებია. ამიტომ ლიტერატურის გაკვეთილები მათ საზოგადოებათ მეცნიერებათ აქვთ გადაქცეული და ამნაირად ხელოვნების დარგი—მხატვრული ლიტერატურა—მეცნიერებათ არის მიჩნეული. ილია ჭავჭავაძის ან ყაზბეგის მოთხრობებს იმ მიზნით კი არ ასწავლიან, რომ მოწაფეებმა უპირველეს ყოვლისა მხატვრული სახეებით იაზროვნონ, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ შეისწავლონ, ვსთქვათ, ბატონყმობის სიმკაცრე, ან კიდევ ის ტკივილები, რომელიც იგრძნო ქაროველმა ხალხმა რუსული თვითმპყრობელობის დამკვიდრების პროცესში. ერთის სიტყვით ხელოვნური სახეები სრულებით იჩრდილება ხელოვნების უსრულეს დარგის—ლიტერატურის—სწავლების დროს და წინ დგება მეცნიერული მომენტი.

არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც მარტო ლიტერატურას გადიან და ენის სწავლება კი სრულიად მივიწყებული აქვთ. თითქოს ქართული ლიტერატურა და ქართული ენა ერთი და იგივე საგანი იყოს და თუ პირველს სწავლობ, მეორე სრულებით არ იყოს საჭირო.

ზემოთქმულს ერთვის საშინელი მეთოდიური სიჭრელეც, აქაც ისეთ არევდარევასთან გვაქვს საქმე, როგორც პროგრამულ თუ მოცულობის საკითხში. მასწავლებელთა უმეტესობისათვის ნაწარმოების ტექსტის შესწავლა დიდ საჭიროებას არ წარმოადგენს და მათი მოწაფეები ნაწარმოების შესახებ რაც ენაზე მოადგებათ,

იმას ლაპარაკობენ. დალაგებულ და დასაბუთებულ მსჯელობას მათგან ვერ მოისმენთ. არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომელნიც სრულებით არ აწარმოებენ პერსონაჟთა ზედმიწევნით დახასიათებას და საერთო ფრაზებით კმაყოფილდებიან. ბევრს კიდევ ნაწარმოების გარჩევა ისე ესმის, რომ მოწაფემ სხვადასხვა კრიტიკოსები უნდა წაიკითხოს და მათი აზრები თუთიყუშივით გაიზეპიროს. საკუთარი ანალიზის უნარს და პირად აზრს ასეთი შეგირდებისაგან ტყვილა ნუ გამოელით.

ყოველივე ამის შედეგი კი ის არის, რომ ცხრაწლედ დასრულებულმა ჩვენმა ახალშა თაობამ არც ქართული ენა იცის სათანადოდ და არც ქართული ლიტერატურა. არ იციან ზეპირად, არ იციან წერით. არ ეხერხებათ დალაგებული და დასაბუთებული მსჯელობა, არ გააჩნიათ სიტყვისა და თქმის კულტურა, ვერ ერკვევიან ლიტერატურულ ფაქტებში და, ბოლოს, ყოველივე ეს გვირგვინდება წერილობითი საბუთით: გონებრივი და მეტყველებითი ანარქია ქაღალდზედაც თავისი სახით გადადის და საშუალო ცოდნით აღჭურვილთა წერილობითი ნააზრევი არც სტილსტიურად ვარგა, არც ორთოგრაფიულად და არც კალიგრაფიულად.

დიახ, ვინც ჩვენს სკოლას იცნობს და ვისაც ჩვენი ახალთაობის მომავალი გულწრფელად აინტერესებს, იმას არ შეუძლია, რომ ყოველივე ამაში არ დაგვეთანხმოს. დღევანდელ ქართველ პედაგოგს, რომელიც ჩვენი ახალი სკოლისადმი კეთილის სურვილით არის აღჭურვილი არ შეუძლია ეს ფაქტი პირდაპირ და უშიშრად არ აღიაროს.

მაგრამ აღიაროს არა იმისათვის, რომ ბოროტად დაგვცინოს და ამ ფაქტის მიხედვით ჩვენი სასკოლო აღმშენებლობა დაგმოს,—არა, ეს იქნებოდა უდიდესი დანაშაული ჩვენი ახალთაობის წინაშე! ჩვენ ფაქტს ვაღიარებთ იმისათვის, რათა შევებრძოლოთ მას და გარდავქმნათ იგი.

აღნიშნული ნაკლის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი სასკოლო მუშაობა მერყეე მდგომარეობაშია და რევოლუციის მიერ შექმნილ საერთო მდგომარეობისათვის ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი. ჩვენი სასკოლო აღმშენებლობის მთავარი მიზანი ამ ხნის განმავლობაში უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ სკოლის კედლები საფუძვლიანად გაგვეწმინდა ძველი დამყაყებული სწავლა-აღზრდის დროს მოქმედ პრინციპებისაგან და სრულიად ახალი სული შეგვეტანა შიგ. უპირველეს ყოვლისა სკოლიდან უნდა აღმოფხვრილიყო ის მონური სული, რომლებზედაც დაბჯენილი იყო ძველი სკოლა და მის ადგილას უნდა გამეფებულიყო სრულიად ახალი ატმოსფერა, ატმოსფერა აქტივობისა და შრომისა, თავისუფალი პიროვნებისა და კოლექტივიზმისა.

აი, ამ მუშაობის დროს, სრულიად ბუნებრივად, ჩვენ სათანადო ყურადღება ვერ მივაქციეთ მშობლური ენისა და ლიტერატურის სწავლებას.

მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს სკოლას ჯერ-ჯეროვნად კიდევ არა ჰყავს სათანადოდ მომზადებული კადრი მასწავლებლებისა, რომელთაც ქართული ენა და ლიტერატურა შეესწავლოს ქართულ უნივერსიტეტში. ქართულ ენის დღევანდელ მასწავლებელთა დიდ უმეტესობას ეს საგანი საკუთარის ძალ-ღონით აქვს შესწავლილი, სკოლებში ეს საგანი მათთვის არავის უსწავლებია და რა გასაკვირალია, რომ აღნიშნულ სიჭრელესთან გვქონდეს ადგილი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით კიდევ ის აზრი მეფობს, რომ თითქოს ქართული ენის სწავლება ყველა მასწავლებელს შეეძლოს, თუ კი, რასაკვირველია, ის ქართველია და გოგებაშვილის „დედა-ენა“ „თხა ვენახამდი“ მაინც წაუკითხავს. ბევრი მასწავლებლის აზრით ქართულ ენაზე იოლი არც ერთი საგანი არ არის. და თანაც ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ მასწავლებელს მასწავლებლის სახელს ვუწოდებთ!

ქართული ლიტერატურის და ენის სწავლების დაქვეითების მესამე მიზეზად საჭირო პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის უქონლობაც უნდა ვაღიაროთ. ამ მხრივ მაინც რომ ჩვენი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყოს, ეჭვი არ არის, ჩვენი სკოლის მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა.

ჩვენი მიზანია მცირეოდენი წვლილი მაინც შევიტანოთ ამ უკანასკნელ საქმეში და ჩვენი ორგანოს შემდგ ნომრებში შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავაშუქოთ ყველა ის საჭირბოროტო საკითხები, რომელიც აქ აღვძარით.

სავლე აბულაძე

ქართული მართლწერისა და დამწერლობის (ხელის) შესახებ.

ა. წ. „ახალი სკოლისაკენ“ № 1-ში მოთავსებული ცირკულარული წერილი „წერითი მუშაობის დაყენების შესახებ შრომის სკოლაში“ უეჭველად ხელს შეუწყობს ამ მტკივნეული საკითხის მოგვარებას. მაგრამ მდგომარეობის სრული გაჯანსაღებისათვის საჭიროა კიდევ ორი პირობა: სავალდებულო მართლწერა და მტკიცე ხელი (დამწერლობა).

დღეს საქართველოში ყველასგან აღიარებული მართლწერა არ არსებობს. ყველა ისე სწერს, როგორც მოსწონს, როგორც შეუძლია. ვერ იპოვით ქართული

ენის ორ მასწავლებელსაც კი, რომ ერთნაირად ესმოდესთ მართლწერის საკითხები. განსვენებული გოგებაშვილის ენა და სილოვან ხუნდაძის გრამატიკული ნორმები აქამდე ეჯიდებიან ერთი-მეორეს. სხვადასხვაა ენა ჩვენი პროფესორებისაც: ივ. ჯავახიშვილის და კორნ. კეკელიძის. მწერლები კიდევ ყველა „თავის ენაზე“ შემოქმედებენ: „წავიდნენ—წავიდენ“, „კარგად—კარგათ“, „თორემ—თვარა“, „მერმე—მერე“, „მაგრამ – მარამ – მარა“, „სოფლიდგან—სოფლითგან—სოფლიდან“, „მეცადინეობა—მაცადინობა“, „გაჭირვება—გაჭივრება“ და სხ.; ასე გასინჯეთ, „კაცმა მოვიდა“-საც წააწყდებით „კაცი მოვიდა“-ს მაგიერად.

დარწმუნებული ვარ, ყველა ხედავს მართლ-წერის ამ არევ-დარევას და მაგალითების მოყვანა მიტომ თუა საჭირო, რომ დავასკვნით: შეუძლებელია სკოლაში სავალდებულო მართლწერის გარეშე წერითი მუშაობის იდეალური დაყენება.

მაშასადამე, სასწრაფო ამოცანად უნდა იქნეს დასმული სავალდებულო მართლწერის შემოღება; ამით ჩვენს სკოლებს გაუადვილდებათ მუშაობა და წერითი ენის შესწავლის საქმე წარმატებით დაგვირგვინდება.

რაც შეეხება მტკიცე ხელის შემოღებას, ესეც არა ნაკლებად მნიშვნელოვანია. ყველა შეამჩნევდა, რომ უმეტეს წილად ქართველები რუსულს ვსწერთ ქართულზე უკეთესად. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? პირველ-ყოველისა, რასაკვირველია, მეტი ვარჯიში რუსულ წერაში. ასეთი ვარჯიშის წყალობით „გოგებაშვილზე“ ნავარჯიშევი სწორი ქართული ხელი დაძლეულ იქნა რუსული ხელით და თვითოეულმა ჩვენთაგანმა გამოიმუშავა თავისებური ქართული ხელი—ამ შემთხვევაში გოგებაშვილისეული ხელის ნორმები შემბოჭველი გახდა წერის სიჩქარისა და შნოიანობა—სილამაზისათვის. ამიტომ ახლა ქართული (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) ხელი არ არსებობს. სწორი, დაწვენილი, უკან გადაწეული და სხ. ასოების ხმარება ამრავლნაირებს ქართულ ნაწერს იმდენად, რომ ძნელი გასაგები ხდება თვითონ ნაწერიც, რაც ღირსებად არ ჩაითვლება, რასაკვირველია.

შეიძლება, ყველას ვერ დავავალდებულოთ ერთი ხელით წერა, მაგრამ სკოლები, დაწესებულებები და სხ. კი საჭიროა ერთს ნიმუშს მისდევდეს. თუ ერთი ნიმუში იქნება და მისი მიხედვით იწარმოებს მუშაობა სკოლაში შესვლის პირველ დღიდანვე, შედეგებიც უკეთესი გამოვა, ძველად რუსული წერის „пропись“-ები დადებით როლს თამაშობდა ხელის გამომუშავების საქმეში, ჩვენშიც გამოსადეგი იქნება, თუ ამის მსგავსი სანიმუშო ნაწერები იქნება გამოცემული.

ამგვარად, სავალდებულო მართლწერა და მტკიცე დამწერლობა (ხელი) დღის წესრიგში უნდა დაისვას და სასწრაფოდ გადაწყდეს, თუ გვინდა ზევით მოხსენებული ცირკულარული წერილი სავსებით იქნეს შესრულებული.

ბ. ფიფურია

კოლექსური სისტემა.

(მისი რაობა, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის ელემენტი. კომპლექსური თემის აგეგმვის და აღრიცხვის საკითხი).

თეზისები.

1. კომპლექსური სისტემა მოვლენის მთლიანობითი, ყოველ მხრივი შესწავლას გულისხმობს.

2. კომპლექსი უწინარეს ყოვლისა განსაზღვრული აქტია, რომელიც სრულდება მოწაფეთა კოლექტიური ძალით წინადაწინ დასახული მიზნის მისაღწევად, რომელსაც მოწაფეთა კოლექტივისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

3. კომპლექსური სისტემით ყოველი მოვლენა შეისწავლება სხვა მოვლენათა მიზეზობრივ კავშირში (დიალექტიური მეთოდის პრინციპი).

4. კომპლექსურ სისტემას საფუძვლად უდევს მარქსიზმის ძირითადი დებულება, რომლის თანახმად მეცნიერება მიზნად ისახავს სინამდვილის შესწავლას მისი გარდაქმნის მიზნით.

5. აქედან კომპლექსური სისტემით მუშაობა შეუძლებელია, თუ განზე დავტოვებთ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, რომელსაც მოწაფეები ასრულებენ საზოგადოებრივ საქმიანობაში უშუალო მონაწილეობის სახით.

6. ასეთი საქმიანობა უმეტეს შემთხვევაში უახლოვეს გარემოზე უნდა ემყარებოდეს (სკოლა, ოჯახი, საზოგადოება)

7. საზოგადოებრივ აუცილებელი საქმიანობისათვის არჩეულ უნდა იქნან ისეთი საკითხები, რომლთაც პედაგოგური აღმზრდელობითი ღირებულება აქვთ.

8. პედაგოგური მნიშვნელობის მქონე თემები ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით უნდა იქნან აღებული.

9. ოჯახი თავის უკულტურობის გამო მოზარდ თაობაზე ხშირად უარყოფითად მოქმედობს, სკოლას ევალება იყოს კულტურის უჯრედი. კულტურულ ჩვევათა გამომუშავებაში მაგალითს იგი უნდა იძლეოდეს.

10. მოზარდი თაობა, რომელიც სკოლაში თავს იყრის, კულტურის აგენტებს წარმოადგენენ (ბავშვების შემწეობით კულტურულ ჩვევათა გადატანა ოჯახში, საზოგადოებაში).

11. ცოდნა, ტეხნიკურ ჩვევათა გამომუშავება საზოგადოებრივ საქმიანობისათვის საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ მისი (ცოდნის) შეძენა სასკოლო მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

12. ყოველ კომპლექსურ თემამ უნდა მოგვცეს ფორმალურ ცოდნათა ჯამი.

13. რადგან ცოდნის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ის ჩვენათ არის ქცეული, ამიტომ ჩვენს მუშაობაში ჩვევის გამოსამუშავებლად ვარჯიშს დიდი ადგილი უნდა დაუთმოთ.

14. დაწყებული მუშაობის წარმატებით დასაგვირგვინებლად საჭირო იქნება მისი წინასწარი აგეგმვა.

15. აგეგმვა მუშაობის საშუალებაა და არა მიზანი.

16. აგეგმვის მთავარი კითხვებია:

ა) რა გავაკეთოთ (მუშაობის მომენტების ზოგადი მოხაზვა)?

ბ) როგორ გავაკეთოთ (რა და რა მეთოდებით ვიმუშაოთ)?

გ) რა საშუალებებს მივმართოთ ამისათვის?

დ) როგორ გავანაწილოთ სამუშაო დროში.

17. კომპლექსური თემის აგეგმვაში მოწაფეები უშუალო მონაწილეობას იღებენ.

18. რაც უფრო მაღალია ასაკი, მით უფრო აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდენ ბავშები თემის წინასწარი აგეგმვაში.

19. თემის აგეგმვის გარდა უნდა მოხდეს ტრიმესტრული, წლიურ მუშაობის აგეგმვაც, მაგრამ ამაში მოწაფეებს უშუალო მონაწილეობის მიღება არ ძალუძთ. ეს მასწავლებლის მიერ ხდება.

20. აგეგმვა თემის დამუშავების შესავალი მომენტია.

21. თემის დამუშავების მეორე პოლიუსს წარმოებული მუშაობის აღრიცხვა წარმოადგენს.

22 თემის აღრიცხვის მთავარი კითხვებია:

ა) რა გვქონდა დასახული მიზნად?

ბ) რა გავაკეთეთ?

გ) როგორ გავაკეთეთ?

დ) რა საშუალებებს მივმართეთ ამისათვის?

ე) რამდენი დრო დაგვჭირდა ამისათვის?

ვ) დასახული მიზნიდან რის გაკეთება ვერ შევძელით და რა პირობების გამო?

23. აღრიცხვა შეიძლება შემდეგი ფორმით.

ა) მოწაფეთა მოხსენებების სახით (კონფერენცია). სექციების წარმომადგენლები ანგარიშს იძლევიან თავიანთ მუშაობის შესახებ. ამას უფრო მეცნიერული ხასიათი აქვს.

ბ) მხატვრულ ნაწარმოებთა დეკლამაცია-ინსცენიროვკა (მხატვრული სახეები, რომელნიც ძლევიან სურათს ჩატარებული მუშაობისა.

გ) მოწაფეთა ნამუშევრის გამოფენის სახით.

24. აღრიცხვა წარმოებული მუშაობის ჯამულის გაკეთებაა.

25. კომპლექსური თემის აღრიცხვა უმეტეს შემთხვევაში შემდეგ თემაზე გადასავლელი საფეხურია.

26. კომპლექსური თემის გარდა შესაძლებელია ტრიმესტრიული, წლიური მუშაობის აღრიცხვაც.

27. რაც უფრო ვრცელია აღრიცხვა შინაარსით, მით უფრო ზოგადი ხასიათისაა ის.

მოვიყვანოთ აგეგმის და აღრიცხვის ნიმუში.

(გაგრძელება იქნება),

დავ. ჟიფშიძე.

საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში.

ჩვენში, ქართულ სკოლებში, საზოგადოებათმეცნიერების პრაქტიკას უთუოდ მნიშვნელოვანი ისტორია აქვს. მაგრამ ყველაზე ნაკლებად სკოლების პრაქტიკიდან ვიცით ამ ახალ სასკოლო დისციპლინის ირგვლივ ნაწარმოები მუშაობა. შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის გაგრძელება. ჩვენმა ჟურნალმა უნდა აალაპარაკოს ამაზე ადგილები და სკოლებში ჩატარებული მუშაობის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს მრავალი საკითხები, რომლებიც ორგანიულად დაკავშირებულია საზოგადოებათმეცნიერებასთან.

ჩემი წერილების მიზანი მხოლოდ აქეთკენ არის მიმართული. აქ ცდა იქნება მასიურ მკითხველისთვის დაისვას საზოგადოებათმეცნიერების ზოგიერთი

საკითხები. ეს ერთი. მეორე—მოხდეს პოპულიარიზაცია იმ კურსების მნიშვნელოვან მუშაობის, რომელიც სწარმოებდა ა./წ. ივლისში კოჯორში. მესამეც—ამ დარგში სკოლის პრაქტიკული ნაბიჯები გაუზიაროთ სხვებსაც.

I. რა არის საზოგადოებათმეცნიერება?

რასაკვირველია, პირველად სწორედ ეს საკითხი უნდა გადასწყდეს. რუსეთის დიდი ისტორიკოს-მეთოდისტებიც განსხვავდებიან ამ ცნების გარკვევაში და ჩვენ, მასიურ მასწავლებლობას, რომელთაც ნაკლები გამოცდილება გვაქვს, ვინ ვცის, რა არ გვესმის საზოგადოებათმეცნიერების ქვეშ?

ძველ სკოლაში ისტორია უნაყოფო საგანი იყო; მისი სწავლება მოწაფის ლოგიურ მეხსიერების განვითარებას ახშობდა. აუარებელი ქრონოლოგიური დატები, მეფეების სახელები და სხვადასხვა, რითაც სავსე იყო ისტორიის საგანი ძველ სკოლაში, კანონიერ ეჭვს ბადებდა ამ საგნისადმი. და რევოლუციის დაწყებისას, როცა საქმე შეეხებოდა სასკოლო საქმეებს, მეტი იერიში ისტორიაზე მიჰქონდათ (მაგ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს).

ჩვენშიაც, რევოლუციის დაწყებისას, ასეთივე მდგომარეობა იყო. 1918 წელს ერთ-ერთ ჟურნალში („Вестник просвещения союза коммун северной области") ნათქვამია: „სკოლა უნდა განთავისუფლდეს, დაბოლოს, ყვლა საგნებიდან, რომლებიც ბავშის აქტივობის განვითარებას ხელს უშლის და პირველ რიგში იგი ისტორიისგან უნდა განთავისუფლდეს" (И. Катаев—Вопросы преподавания обществоведения", 1926, „Работник просвещения". Москва, გვ. 7).

მართლაც, ოქტომბრის რევოლუციამ ბუნებრივად წამოაყენა ახალი სკოლის შექმნა, რევოლუცია მოახდინა მან სასკოლო საგნებშიაც და არც ერთ საგანს არ განუცდია ისეთი გარდაქმნა, როგორიც განიცადა ისტორიამ.

უსამართლობა იქნებოდა, არ აღვნიშნოთ, რომ რევოლუციამდეც იყო ცდა ისტორიის, ასე ვსთქვათ, გაჯანსაღების. მაგალითად, ისეთი მეთოდისტები, როგორიც არიან კულჟინსკი, პოკრტილო, ზვიაგინცევი, სინგალევიჩი და სხ. მოითხოვდენ რევოლუციამდე, რომ ისტორიის სწავლებას მეცნიერული დასაბუთება უნდა ჰქონდეს, რომ ამ საგნის სწავლების დროს საჭიროა, განუვითარდეს ბავშებს ისტორიული მსოფლგაგება, ისტორიულ პროცესების კანონზომიერება, რომ თანდროულობის საკითხებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და სხ.

მაგრამ ეს ახალი მისწრაფება არ იყო მკვეთრად ჩამოყალიბებული, იგი უფრო მომავალი რევოლუციის ქარის ქროლვისაგან იყო გამოწვეული და რამდენათაც რეალი მიზეზები საამისოდ ჯერ არ იყო, ცხადია, ასეთი მისწრაფება დარჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

რევოლუციამ ახალი სოციალური და პოლიტიკური წყობა მოიტანა. ახალი იდეოლოგია, რომლის საფუძველია მარქს-ენგელსის მოძღვრება, წარმოდგა წინ. სკოლას დაესახა მიზნად ახალი მშენებელის და მომპოებელის აღზრდა და ისტორიამაც ადგილი დაუთმო საზ. მეცნიერებას.

საზოგადოებათმეცნიერების ცნებამ ერთგვარი ევოლუცია განიცადი. 1920-21 წელში, როცა პირველად შემოვიდა ხმარებაში ტერმინი „საზ. მეცნიერება“—მისი შინაარსი გაურკვეველი იყო. ცხადი იყო მხოლოდ, რომ მსგავსად ზოგიერთ საგნებისა (მაგ., ბუნებისმეტყველება), ე. წ. საზოგადოებრივი დისციპლინები (სოციოლოგია, ისტორია და სხ.) უნდა შეერთებულიყო. სინტეზი—ეს პირველი საფეხურია ცნება „საზ. მეცნიერების“ ჩამოყალიბებისა. მიზანი ამ სინტეზის? 1) ტეხნიკურ პირობების გაადვილება (პროგრამის შემოკლება). 2) საზოგადოების ისტორიულ ცხოვრების ცალკე ელემენტების კავშირი ასეთ სინტეზის დროს უფრო ვლინდება. შემდეგ—ადვილი ხდება იმ ფაქტის ნათელყოფა, რომ სამეურნეო (ეკონომიური) პირობები განსაზღვრავენ საზოგადოების დაჯგუფებას, კლასების წარმოშობას, საზოგადოების ე. წ. „ზედნაშენს“—პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ ფორმებს.

ჟურნ. „На путях к новой школе“ 1924 წ. № 3-ში ბ. ჟავორონკოვი წერილში: „რა არის დაბოლოს, საზოგადოებათმეცნიერება“, ამბობს, რომ რამდენადაც ახალი სკოლის მიზნები განსაზღვრავს მის (სკოლის) შინაარსს, მუშაობის მეთოდებს, ორგანიზაციას, ამდენად ამავე მიზნებიდან უნდა გამოვდიოდეთ საზ. მეცნიერების ცნების სწორ გაგებისათვისო, და იძლევა ისეთ განმარტებას:

„სკოლაში საზ. მეცნიერების ქვეშ უნდა გავიგოთ, ჯერ, ბავშების შრომითი და საზოგადოებრივი პრაქტიკა—საზოგადოებრივ და შრომითი ჩვევების მისაღებად: მეორე—მოზრდილის და ბავშის საზოგადოებრივ ცხოვრების შეცნობა, როგორც აწმყოში, ისე წარსულში—განსაზღვრულ მსოფლმხედველობის შემუშავებისათვის“, (კატაევის დასახელებული წიგნი, 13).

არის, თუ არა სრული ჟავორონკოვის ეს განმარტება?—არა და აი, რატომ: კატაევი ამბობს: როცა ჩვენ ვმარტავთ საზოგადოებათმეცნიერებას, უნდა გავითვალისწინოთ მისი ამოცანები, შინაარსი და მუშაობის მეთოდები. ჟავორონკო-

ვის განმარტების მეორე ნიწილი საზმეცნიერების შინაარსის განსაზღვრას შეიძლება აკმაყოფილებდეს. რაც შეეხება პირველ ნაწილს—იგი მეთოდს შეეხება, რაც საზოგადოებათმეცნიერების მეთოდების შესაძლებელ მრავალიანობას, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებს. ამიტომ ჟავორონკოვის განმარტების ორივე ნაწილის უკანონო (არა ლოგიური) შეერთება საზ. მეცნიერების განმარტებად არ გამოდგება (იქვე, 13).

საზოგადოებათმეცნიერების ამოცანები ორია: 1) ზოგად განათლების, 2) აღმზრდელობითი ხასიათის. ორივე ამოცანის შესრულება მოითხოვს რამოდენიმე დისციპლინებიდან სათანადო მასალის ამოღებას და ამ მასალის ორგანიულ კავშირს. ეს კავშირი საზოგადოებათმეცნიერებაში გვაქვს და იგი (კავშირი) მხოლოდ ისტორიულ მატერიალიზმის ფონზე ხდება შესაძლებელი [1]).

მაშ, როგორი განმარტება უნდა მიეცეს საზოგადოებათმეცნიერებას? კატაევი, იხილავს რა დაწვრილებით ამ ცნების ევოლუციას, იძლევა ასეთ განმარტებას:

„საზოგადოებათმეცნიერება არის ახალი, რევოლუციის პროცესში წარმოშობილი, სასკოლო დისციპლინა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ცოდნა-ჩვევათა სინტეზს. ეს ცოდნა-ჩვევანი, იმ მიზნით, რომ ბავშებს განუვითარდეს მარქსისტული სოფლგაგება და შეითვისონ მათ კომუნისტურ საზოგადოების მშენებლობის მეთოდები, ორგანიულ, მთლიან კომპლექსშია გატარებული“ (იქვე, 18).

რა ადგილი უნდა ეკავოს შრომის სკოლაში საზოგადოებათმეცნიერებას?—ცარიზმის დროს, როცა კლასიკური სკოლა ვითარდებოდა, დიდ როლს თამაშობდა ძველი ენები და ძველი ხალხის ისტორიის შესწავლა. ეს საუკეთესო იარაღი იყო იმისთვის, რომ თანდროულობაში არსებული წინააღმდეგობა ნაკლებ შენიშნული ყოფილიყო და ძველისკენ ცქერას მთლიანად დაეპყრო ყურადღება; სამრეწველო და საფინანსო კაპიტალის განვითარებისას რეალურ-კომერციული და პროფესიონალური სკოლა ვითარდება და მათემატიკა—ბუნებისმეტყველება პირველ ადგილს იჭერს ასეთს სკოლებში.

ცხადია, ახალ სკოლაში უპირატესი ადგილი რას უნდა ეჭიროს: საზოგადოებათმეცნიერება ტონის მიმცემი უნდა იყოს სკოლის ყოველგვარ ცხოვრების. მასში (საზ. მეცნიერებაში) ყველაზე მეტი პირობებია ახალი სკოლის მიზნების განაღდებისა..

---

[1]) თუ როგორ—ამაზე ცალკე.

თუ საზოგადოებათმეცნიერება კომპლექსია სხვადასხვა ცოდნა-ჩვევათა, რას წარმოადგენს ეს ჩვევები, როგორია მათი წყობა აქ; სხვანაირად – საზ. მეცნიერებაში რა და რა საზოგადოებრივი მეცნიერებანი იყრიან თავს, როგორია მათი ადგილი,—ამაზე შემდეგ წერილებში.

ნ. მეძვაბიშვილი

სკოლის საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ამოცანები თავის ირგვლივ რაზმავს და მუშაობაში ითრევს ყველა პატიოსან მოქალაქეს. ამიტომ მთელი ჩვენი ძალ-ღონე მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტი აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ქვეყნის სამეურნეო ფრონტის გამაგრება-გაძლიერების საქმეში, ვინაიდან სამეურნეო ცხოვრების გაძლიერებიდან გამომდინარეობს ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს საბოლოო გამარჯვება.

შრომის სკოლები, როგორც მომავალი თაობის იდეოლოგიის გამომჭედი, ვერ დარჩება ამ საერთო საქმის გარეშე, რადგან შრომა და საზოგადოებრივი საქმიანობა სწავლების ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენს.

სკოლა ამ პროცესში ეცნობა იმ მეთოდებს და საშუალებების გამონახვას, რომელზედაც დამოკიდებულია ახალი ცხოვრების შენება-დამკვიდრება. ამიტომ სკოლის წინაშე წამოჭრილია მოსწავლე და ფართე მასების ჩაბმა პრაქტიკულ საქმიანობაში.

ქ. ტფილისის და მისი მაზრის სკოლებმა ამ საქმეს დიდი ხანია მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება. თუ გასულ სამოსწავლო წლის დასაწყისში ზოგიერთი სკოლების თანამშრომლები ალმაცერად უყურებდენ საზ.-სასარგებლო მუშაობას, დღეს უკვე ყველა დარწმუნდა, რომ კარგი ხელმძღვანელობის ქვეშ მოწაფეობა შესძლებს მოსახლეობაში თვალსაჩინო საზოგადოებრივ—სასარგებლო საქმის შესრულებას.

სამოსწავლო წლის დასაწყისიდან შრომის სკოლების წინაშე ამ სფეროში ბევრი მუშაობა არის ჩასატარებელი. პატარა წერილში შეუძლებელია ყველა იმ ამოცანების აღნიშვნა, რომელიც ქალაქის აღმასკომს თავის ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმაში აქვს დასახული. მაგალითად: ქალაქის ზოგიერთი ქუჩების გადაკეთება, ბაღის გაშენება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მადათოვის კუნძულის

გამშვენიერება, ქალაქის განაპირა მთების კალთებზე ტყეების გაშენება, გზების შეკეთება მაზრებში და ამას გარდა ის საკითხები, რომელიც თვითეულ თემ-აღმასკომს აქვს მიზნად დასახული.

ჩვენ მოწაფეობას ბევრჯერ ექნება შემთხვევა მიიღოს მონაწილეობა აქ ჩამოთვლილ საზოგადოებრივ საქმეებში. შეიძლება ბევრს საეჭვოდაც კი მიაჩნდეს მოწაფეობის ასე დიდ საქმეებში ჩათრევა, მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სკოლები შესძლებს ამ დიდ სამუშაოებიდან ისეთი საკითხების გამოყოფას, რომელიც მათთვის შესაფერი იქნება. ამით ჩვენ ორ შედეგს მივაღწევთ: ერთის მხრით მოწაფეთა მასების ცხოვრების სინამდვილესთან დაახლოებას და მეორეს მხრით კი ხარჯების შემცირებას. თუ ავიღებთ ჩვენი მაზრის სინამდვილეს, იქ სკოლას მეტი გასაქანი აქვს. სკოლა, როგორც ერთ-ერთი კულტურული კერა, მონაწილეობას ღებულობს გლეხის ყოველდღიურ საჭირ-ბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. და როდესაც საკითხი ეხება რომელიმე საზოგადო ხასიათის საქმეებს, სკოლა უნდა გამოვიდეს ყველასათვის მაგალითის მიმცემად.

მაზრის სკოლებმა გასულ წელს ბევრი თვალსაჩინო საზოგადო-სასარგებლო საქმეები შეასრულა. მაგალითად: ბევრ ადგილზე ხელი შეუწყო ხიდეების აშენებას, გზების შეკეთებას, ქოხ-სამკითხველოების რიგიანად მოწყობას, წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის წარმოებას და სხვ., რომლის ეფექტიანმა შედეგებმა ჩვენი გლეხ-კაცების ყურადღება მიიპყრო და ჩააბა ახალი სოფლის შენების საქმეში.

საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმის ჩატარება მარტო პრაქტიციზმით კი არ ამოიწურება, არამედ სკოლის პროგრამების დამუშავებაში იგი უნდა მივიჩნიოთ, როგორც ერთ-ერთი სახელმძღვანელო მეთოდი.

მართალია ჯერ კიდევ ეს საკითხი ყველასათვის არ არის ნათელი და გარკვეული, იგი მოითხოვს დაკვირვებით შესწავლას, მაგრამ თითეული სკოლა, თუ გინდ მარტივ ფორმებში, მაინც შესძლებს ბავშების თანდათანობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საქმიანობაში ჩაბმას.

პროფ. გრიგოლ წერეთელი

(ავტობიოგრაფ. შენიშვნებიდან, რომელიც დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის)



დავიბადე პეტერბურგში 1870 წელს; პირველი 11 წელიწადი გავატარე ტფილისში და ვარშავაში, სადაც მსახურებდა მამა ჩემი — ჯერ სამხედრო-საოლქო სასამართ. წევრად, ხოლო შემდეგ მისი თავმჯდომარის ამხანაგად. 1881 წ., მამა ჩემმა სამსახურს თავი დაანება და საბოლოოდ დასახლდა პეტერბურგში განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ სატახტო ქალაქში უფრო ადვილი იყო კარგი განათლება მიეცა შვილებისათვის. პირველ ხანებში მე ვსწავლობდი ჩემი მამის, დედის და დეიდის ხელმძღვანელობით; უკანასკნელი, ზ. ი. ლუჩაკ, იშვიათი ნიჭისა და განათლების პატრონი იყო: მან აღძრა ჩემში უაღრესი სიყვარული ენებისა, ლიტერატურისა და ისტორიისადმი. საშუალო განათლება მივიღე მაშინდელ საუკეთესო გიმნაზიაში, სახელდობრ, ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ გიმნაზიაში, სადაც VIII კლასამდე უშუალო ხელ მძღვანელობას გვიწევდა დირექტორი კ. ნეილისოვი, ძველი ენების დიდი მცოდნე და უაღრესად კეთილშობილი პედაგოგი. მე არასდროს არ დამავიწყდება, როგორის ტკბილი იუმორით შეხვდა ის ჩემს პირველ ცდას, როდესაც მე განვიზრახე, რუსულ-ბერძ-

ნული ლექსიკონის შედგენა. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი იქნებოდა ეს ლექსიკონი, რომლის ავტორი მხოლოდ V კლასში იყო! ნეილისოვი მუდამ ხელს გვიწყობდა ჩვენ, როდესაც-კი დაინახავდა ჩვენის მხრით დამოუკიდებელი მუშაობის სურვილს. ის, მ-გ., არ გვიკრძალავდა ჟურნალის გამოცემას, რომელსაც ჩვენ „კლასიკოსი" უწოდეთ და სადაც ვათავსებდით ლექსებს, თარგმანებს, წერილებს გიმნაზიის ცხოვრების შესახებ: აქ განსაკუთრებით ირჩეოდა დანარჩენებში თვისი ლიტერატურული ნიჭით ნ. პავლოვ-სილვანსკი, შემდეგში ცნობილი ისტორიკოსი.

რადგან მე იმთავითვე მიზიდავდა ძველი ენები, ამიტომ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევედი პეტერბურგის უნ. ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. პირველ ხანებში, ბერძნულ-ლათინურთან ერთად, სანსკრიტის სწავლასაც შეუდექი (მას ჰკითხულობდა ცნობილი მეცნიერი ნ. მინაევი) და მაზე დიდი დრო და ეხერგია დავხარჯე. მაგრამ შემდეგ საბოლოოდ გადავედი ძველ-კლასიკურ ფილოლოგიაზე. იმ დროს ეს დარგი პეტერბურგის უნივერსიტეტში საუცხოოდ იყო დაყენებული. საკმარისია გავიხსენოთ, რომ კლასიკური ფილოლოგიის სწავლებას ხელმძღვანელობდენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ი. პომიალოვსკი, პ. ნიკიტინი (შემდეგ სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი), ვ. იერშტედტი, ვ. ლატიშევი და თ. ზელინსკი. და მე ყველა ამათთან ვსწავლობდი, მაგრამ ჩემი უშუალო ხელმძღვანელი იყო დაუვიწყარი ვ. იერშტედტი. მისი ლექციები მაინც-და-მაინ ; მიმზიდველი არ იყო; მისი ძალა ჩანდა, განსაკუთრებით, პრაქტიკული მუშაობისა და მეცნიერულ საკითხებზე საუბრის დროს აქ ის შეუდარებელი იყო: იშვიათი ცოდნა ბერძნული ენისა და ლიტერატურის, მხატვრული გემოვნება, უნარი ბერძნული იდეებისა და სახეების სილამაზის შეგრძნებისა—აი რა ახასიათებდა მას. აკადემიკოსი ვ. იერშტედტი არ იყო მრავალრიცხოვანი და ჭრელი აუდიტორიის პროფესორი; ის იყო ხელმძღვანელი რამდენიმე სპეციალისტისა, რომელთაც ის წრთვნიდა თავის მკაცრ სკოლაში, სადაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა „ზერელეობას". მას დევიზად ჰქონდა: „საჭიროა იყო მეცნიერი და არა ვითომც-მეცნიერი". ვ. იერშტედტი, გარდა იმისა რომ დიდებული ფილოლოგი იყო, ამავე დროს საუკეთესო მცოდნე იყო ბერძნული პალეოგრაფიის, რომელსაც მან მაზიარა დიდის უხარითა და ხელოვნებით. მისი ხელმძღვანელობით, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, დავწერე ჩემი პირველი შრომა, რომელიც „ბერძნული სტენოგრაფიის ისტორიას" შეეხებოდა და რომლისთვისაც მე ოქროს მედლით დამაჯილდოვეს (შემდეგ ეს შრომა დაბეჭდა უნივერსიტეტმა). ეს იყო ჩემი მეცნიერული შემოქმედების პირველი ნაბიჯი და მანვე გადასწყვიტა ჩემი შემდგომი მუშაობის ბედიც.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მე დატოვებულ ვიქმენ საპროფესოროდ მოსამზადებლად და ამავე დროს არჩეულ ვიქმენ საარქეოლოგიო საზოგადოების წევრად. 1894 წლიდან მოყოლებული, ვიდრე სამაგისტრო გამოცდე-

ბის ჩაბარებამდე, ვკითხულობდი ლექციებს არქეოლოგიურ ინსტიტუტში და ძველს ენებს ვასწავლიდი მეათე გიმნაზიაში. მაგრამ ეს მუშაობა მე არ მაკმაყოფილებდა: მე ამას გარდამავალ საფეხურად ვთვლიდი—მე მიზიდავდა წმინდა მეცნიერება. მალე, 1898 წელს, ჩემი ოცნება განხორციელდა: სამაგისტრო გამოცდების შემდეგ ორი წლით ვიქმენ მიელინებული საზღვარგარეთ (შემდეგ მივლინება ერთი წლით გამოგრძელეს ათონის მონასტრის ბიბლიოთეკებში სამუშაოდ). იმდენად საფუძვლიანი იყო მომზადება, რომელიც მე მივიღე პეტერბურგის უნ-ში, რომ მე არ დამჭირდა სისტემატიური კურსის გავლა საზღვარგარეთის რომელსამე უნ-ში. ბერლინში ყოფნის დროს ვმუშაობდი მხოლოდ ისეთი კორიფეების სემინარებში, როგორიც იყვნენ ვილამოვიცი და დილსი. ისე-კი მე ვამუშავებდი ბერლინის მუზეუმში ბერძნულ პაპირუსებს პროფ. ვილკენის ხელმძღვანელობით, ჯერ როგორც უბრალო სტუდენტი, შემდეგ კი მონაწილეობას ვიღებდი პაპირუსების გამოცემაში. მთელი ეს დრო (მიელინებისა) მე გავატარე პაპირუსებზე მუშაობაში ბერლინის, ვენის, მიუნჭენის, პარიზის, ლონდონის, ოქსფორდის, რომის, ვენეციის, ნეაპოლის, ფლორენციის უნივერსიტეტებში და დასასრულ ათონის მონასტრების წიგნთსაცავებში .ამით მე საშუალება მომეცა შემეგროვებინა მასალები ბერძნული სტენოგრაფიის ისტორიისათვის (რითაც მე ვისარგებლე ჩემი სამაგისტრო დისერტაციისათვის „შემოკლებათა სისტემა ბერძნულ ხელნაწერებში"), შემესწავლა ათონის, რომის და კოსტანტინეპოლის სიძველეები, დამეწყო მუშაობა ბიზანტიელი ფილოსოფოსის და ჩვენი პეტრიწის მასწავლებლის, იოანე იტალის ტექსტებზე, გავცნობოდი პაპირუსთა უამრავ კოლექციებს და კავშირი დამეჭირა საზღვარგარეთის მთელ რიგ მეცნიერებთან.

პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ (1902 წ.) სამი წლის განმავლობაში ვიყავი პრივატ-დოცენტად, ხოლო სამაგისტრო დისერტაციის დაცვის შემდეგ (1905 წ.) არჩეულ ვიქმენ დორპატის უნივ. ექსტრა-ორდინარულ პროფესორად. დორპატში ყოფნის დრო—საუკეთესო ხანაა ჩემ ცხოვრებაში. წყნარი, კულტურული ქალაქი (მას ეძახდენ „ჩრდილოეთის ათენი"), მშვენივრად მომზადებული სტუდენტობა, საკმაოდ კარგად შერჩეული პროფესორთა შემადგენლობა, საუცხოო წიგნთსაცავი და ჩინებული წიგნის-მაღაზიები—ყველაფერი ეს სასიამოვნოდ ხდიდა დორპატში ცხოვრებას. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ მე ყოველ წელიწადს (არდადეგების დროს) მიმაელენდენ ხოლმე სამეცნიერო მიზნით საზღვარგარეთ და მე საშუალება მეძლეოდა გამეფართოებინა ჩემი ცოდნა. დორპატში ყოფნისას დავწერე მე მეტი წილი ჩემი შრომებისა (რუსულ, გერმანულ და ლათინურ ენებზე) და მათ შორის ჩემი სადოქტორო დისერტაცია „მენანდრეს ახალი კომედიები". უკანასკნელი დავიცავი 1914 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში, რის შემდეგაც არჩეულ ვიქმენ პეტერ. უნ. ორდინარულ პროფესორად.

პეტერბურგში მე დამხვდა ჩემი ძველი მასწავლებლების და ამხანაგების წრე (თ. ზელინსკი, ს. ჟებელიოვი, მ. როსტოვცევი, ბ. ტურაევი, ი. სმირნოვი) და პატარა, მაგრამ მშვენივრად მომზადებული ჯგუფი სტუ-

დენტებისა: ამათგან შემდეგში გამოვიდენ ისეთი მეცნიერნი, როგორიც არიან პ. იერნშტედტი, ო. კრიუგერი და ს. ყაუხჩიშვილი, რომელნიც ეხლა დიდის წარმატებით მოღვაწეობენ სამეცნიერო ასპარეზზე.

ამას მოჰყვა ომისა და რევოლუციის მძიმე წლები, როდესაც საუნივერსიტეტო მუშაობა მოდუნდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც განვაგრძობდი მუშაობას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, და 1917 წელს რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ ჩემი სამეცნიერო მიღწევების მიხედვით ამირჩია თავის კორესპონდენტ-წევრად.

რევოლუციის წყალობით რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებისათვის ახალი პერსპექტივები გადაიშალა და საქართველომაც შესძლო ტფილისში თავისი უნივერსიტეტი დაეარსებინა. სხვებთან ერთად მეც ვიქმენ მოწვეული (1919 წელს) ტფილისის უნივ. პროფესორად და 1920 წლიდან მეც დავბინავდი ტფილისში, სადაც დღემდე განვაგრძობ მუშაობას. პედაგოგიური ფაკულტეტისა და უნივ. რექტორის ივ. ჯავახიშვილის დახმარების წყალობით მე საშუალება მომეცა შევდგომოდი იოანე იტალის თხზულებათა გამოცემას, რომელიც დიდი ხანია განზრახული მქონდა, და დღემდე დავბეჭდე უკვე ამ გამოცემის ორი ტომი (ტფილისი 1924 და 1926 წ.წ.) გარდა ამისა მე შეუდექი რუსეთისა და საქართველოს კოლექციათა ბერძნული პაპირუსების გამოცემას, რომელიც ჯერ კიდევ პეტერბურგში მქონდა განზრახული პროფ. როსტოვცევთან ერთად, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. დღეს უკვე დაბეჭდილია ჩემ მიერ ამ გამოცემის ორი ტომი (ტფილისი 1925 და 1926 წ.წ.) ჩემი მოწაფეების იერნშტედტისა და კრიუგერის თანამშრომლობით. თუ მე შევსძელი ზემოაღნიშნული წიგნების გამოცემა, ეს მოხდა იმის წყალობით, რომ 1923 წლიდან დაწყებული არდადეგების დროს ტფილისის უნივერსიტეტი მაძლევდა მივლინებას ლენინგრადსა და მოსკოვში იქაურ მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში სამუშაოდ. გარდა ამისა 1924 წელს ტფილისის უნივ. საბჭომ და საქ. სახ. კომისართა საბჭომ მიმავლინეს მე იტალიაში, ნეაპოლის უნივ. 700 წლის იუბილეზე მონაწილეობის მისაღებად, და მე საშუალება მომეცა განმეახლებინა კავშირი საზღვარ-გარეთის მეცნიერებთან და მემუშავნა იტალიის წიგნთსაცავებში.

საზოგადოდ, ტფილისში ყოფნამ შემაძლებინა მე ძველს სამეცნიერო კალაპოტში ჩავმდგარიყავ და კვლავ გამეშალა მუშაობა როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ ასპარეზზე: ეს გამოიხატა ლექციების კითხვაში და მთელი რიგი გამოკვლევების დაბეჭდვაში სხვადასხვა ენებზე.

1926 წელს ტფილისის უნივერსიტეტმა მომანიჭა მე დამსახურებული პროფესორის წოდება, ხოლო 1927 წელს გერმანიის საარქეოლოგიო ინსტიტუტმა ამირჩია თავის კორესპონდენტ-წევრად.

ამრიგად ტფილისი ჩემთვის ნამდვილი „სიცოცხლის წყარო“ აღმოჩნდა: მან აღმადგინა მე სამეცნიერო მუშაობისათვის და, თუ მასთან დაკავშირებულა ჩემი ცხოვრების პირველი წლები, მასთანვე დაკავშირებული აღმოჩნდა მისი...

ჰანრი ბარბიუსი



საბჭოთა კავშირს ესტუმრა და საქართველოშიაც აპირებს მოსვლას საფრანგეთის თანამედროვე დიდი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ჰანრი ბარბიუსი. ბარბიუსი კომუნისტია, ის მსოფლიო სახელის მწერალია და მისი ნაწერები გადათარგმნილია თითქმის ყველა კულტურულ ენებზე. მის კალამს ეკუთვნის, მაგ., „ჯოჯოხეთი“, „ცეცხლი“, „ჯალათები“, „ჯაჭვი“, „სინათლე“, „იესო“ და სხ. ჰანრი ბარბიუსი დაიბადა 1873 წელს, უმაღლესი განათლება მიღებული აქვს პარიზის მუნივერსიტეტში, ფილოსოფიურ დარგზე. მსოფლიო ომში ის ონაწილეობას იღებდა, როგორც უბრალო ჯარისკაცი. აქ მან შეიგნო ომის მთელი საშინელება და დასწერა „ცეცხლი“, რომელშიაც აწერილია პროლეტარული სინდისის გამოღვიძება ბრძოლის ველზე.

ამის შემდეგ ბარბიუსი სხვებთან ერთად აარსებს საფრანგეთის ფრონტელებთა კავშირს. 1919 წელს ლიონში და 1920 წელს ჟენევაში დააარსა ყოფილ ფრონტელების ინტერნაციონალი, რევოლუციონურ-ანტიმილიტარისტული ორგანიზაცია. 1919 წელსვე აარსებს ჟურნალ „კლარტეს“. შემდეგ ის შეუდგა თეთრი ტერორის შესწავლას ბალკანეთში, რასაც მოჰყვა მისი წიგნი „ჯალათები“. აარსებს მრავალ ქალაქებში სხვადასხვა კომიტეტებს თეთრი ტერორის მსხვერპლთა დასახმარებლად. ეხლა ეს დაუღალავი ადამიანი მუშაობს დიდი საერთაშორისო ორგანიზაციის მოწყობაზე ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამრიგად ჰანრი ბარბიუსი კალმითა და საქმით ერთგულად ემსახურება სოციალისტურ რევოლუციის საქმეს და რა გასაკვირია, რომ მას ღირსეულად აფასებენ და აღტაცებით შეხვდენ საბჭოთა რუსეთში.

დილ.

ბიბლიოგრაფია

ვარლამ ხურციძე. ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვა. მე-XIX საუკუნიდან თებერვლის რევოლუციამდე. ტფილისი, 1927 წ. 234 გვ. ფასი 2 მან.

ჩვენ სკოლას მოფიქრებული, დღევანდელს პირობებთან შეგუებული და სათანადოდ ყველა დეტალებში დამუშავებული სახელმძღვანელოები, საერთოდ, აკლია. რასაკვირველია, არის გამონაკლისები, მაგრამ უმნიშვნელო. ზოგ საგანში სრულიად არ მოიპოვება ოდნავ რიგიანი სახელმძღვანელო. ამ მხრივ, როგორც მოსალოდნელი იყო, უკეთესად არის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების საქმე. ლიტერატურული ძიება, რასაკვირველია, ჩვენში ოდნავად არ შენელებულა, პირიქით, ჩვენ ვამჩნევთ მას გაცხოველებას ამ უკანასკნელ ხანებში.

ამ მხრივ აღსანიშნავია ვარლამ ხუროძის ახალი წიგნი „ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვა". რამდენად ვიცით, ასეთი თემატიურად განხილვა ჩვენი ლიტერატურისა პირველი ცდაა ჩვენში. რასაკვირველია, როგორც ასეთს, წიგნს თან ახლავს დეფექტებიც. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის მთავარი გარემოება, რომ ქართული ლიტერატურული მასალების თემატიურად დალაგება არ არის უმნიშვნელო საქმე. მართალია, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, საერთოდ ამ მეთოდს თან ახლავს ნაკლულევანებაც. მაგ., ერთი და იგივე მწერალი რამდენიმე თავშია განხილული იმ თემების მიხედვით, რომლებიც მას დაუმუშავებია, მაგრამ საერთოდ, და კერძოდ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რომლისათვის ზემოხსენებული წიგნი, უმთავრესად, დანიშნულია, მასალის ასეთნაირად დალაგებას სარგებლობაც მოაქვს. ახალგაზრდობა, რომელიც დატვირთულია უამრავი სასკოლო მასალით, ადვილად სძლევს საგნის სირთულეს და ადვილად ითვისებს მასალას.

წიგნში შემდეგი საკითხებია დამუშავებული: 1) ეროვნული საკითხი, 2)

ბატონ-ყმობა, 3) ბურჟუაზიული ურთიერთობა, 4) წოდებათა დაქსაქსვა და მშრომელი გლეხობის საკითხი, 5) მუშათა მოძრაობა, 6) ზოგადი საკითხები. დასასრულ მოცემულია თავი „ცისფერი ყანწების“ პოეტების შესახებ.

ცხადია, ყველა ეს თავები ერთნაირად დამუშავებული არ არის. და შეიძლებოდა თვითეული მათგანის როგორც შემოკლება, ისე მთელ ტომამდე გაზრდაც. ბაგრამ მასალა სავსებით მისაღებია იმ სახითაც, რა სახით ის არის მოცემული წიგნში. უნდა აღინიშნოს თავდაპირველად შემდეგი. ავტორი,— გარდა იმისა, რომ მას მასალა თემატიურად განუხილავს და, მაშასადამე, ამ მხრივ პირველ მაგალითს იძლევა,— ყურადღების ღირსია იმითაც, რომ ყურმოჭრილად არ გაყოლია ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკოსებს და მიმომხილველებს ბევრ საკითხში. მას უცდია საკუთარი აზრების გამომუშავება და კვლევა-ძიებაც უწარმოებია. ამ მხრივ, რასაკვირველია, დამოუკიდებელი აზრებია გამოთქმული ჩვენს ახალ მწერლობაზე, რომელთა შესახებ, როგორც ვიცით, „აკადემიური“ და სახელმძღვანელოებითი კრიტიკა სისტემატიურად სდუმს. მთელი რიგი თავებისა ი. ევდოშვილზე, ვარლამ რუხაძეზე, ნ. ზომლეთელზე და სხვებზე დამუშავებულია დამოუკიდებლად. „ცისფერი ყანწების“ პოეტები განხილულია სათანადო ყურადღებით და მიუდგომლობით. საერთო შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ავტორი ყველგან ცდილობს იყოს მიუდგომელი და თვითეულს თავისი მიუზღოს. ვფიქრობთ, რომ რამდენადაც ეს თანამედროვესათვის შესაძლებელია ავტორმა თავის მიზანს მიაღწია.

ცალკე პოეტებში და მწერლებში განსაკუთრებულის ყურადღებით არის დამუშავებული თავი ალექსანდრე და ილია ჭავჭავაძეზე, ორბელიანებზე, ვაჟაზე და ჭოლა ლომთათიძეზე. რასაკვირველია, არც ერთი მათგანის შესახებ მასალა სავსებით არ არის ამოწურული. მაგრამ შრომის სკოლის მეორე საფეხურისათვის დანიშნულ დამხმარე წიგნში ასეთი ცდაც კი უანაყოფო იქნებოდა.

დეფექტები წიგნის ავტორის იმავე თანამედროვეობიდან გამომდინარეობს. შეუძლებელია ბოლოს და ბოლოს ჩვენ მიერვე სავსებით ასახვა იმ სინამდვილისა, რომლის შექმნაში ჩვენ თვითონ ვღებულობთ მონაწილეობას. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას წიგნის იმ ნაწილზე, რომელიც უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის პოეტებსა და მწერლებს შეეხება. თვით ავტორი ამბობს თავის წინასიტყვაობაში და ჩვენც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მწერლები აღნიშნული პერიოდისა ან სრულიად არ მოჰყვნენ წიგნში, ან მოჰყვნენ არა სათანადო სისრულით.

საერთოდ წიგნი უსათუოდ საყურადღებოა და იგი სრულიად სამართლიანად შეუტანიათ შრომის სკოლებისათვის საჭირო იმ დამხმარე წიგნთა სიაში, რომელიც ამას წინეთ განათლების კომისარიატმა გამოაქვეყნა.

მ. კანელი.

ლავრენტი არდაზიანი.—სოლომონ მეჯღანუაშვილი. კრიტიკული გარჩევით. გამოცემა პოლიტკატორღელთა საზოგადოებისა, ტფილისი, 1927 წ., გვ. 181. ფასი 1 მან.

ლავრენტი არდაზიანის სახელი უშუალოდ დაკავშირებულია ქართულ მხატვრულ პროზასთან. ზემოდ დასახელებული მისი რომანი პირველი რეალისტური ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც სამართლიანად დამსახურებული აქვს ნიჭიერი მხატვრული ნაწარმოების სახელი და პოპულარობა. სოლომონ მეჯღანუაშვილის ავტორი მნიშვნელოვანი პიროვნებაა ქართულს ლიტერატურაში, რომელმაც ერთმა პირველთაგანმა ნებაყოფლობით იტვირთა ქართული მხატვრული სიტყვის სამსახური და უკვდავ ჰყო ლიტერატურის ისტორიაში თავისი სახელი თავის მიერ მხატრულად ასახული ტიპებით.

არდაზიანის რომანში ასახულია ჩვენი ისტორიული გზის ერთ-ერთი საფეხური: ახალი ბურჟუაზიის ჩასახვის ხანა. აქ ერთის მხრით ჩვენ გვაქვს ფეოდალური უწუგეშო ფონი, ძილით, ბუზების თვლით, ფლანგვით, ბედოვლათობით და სხვა ასეთი დამახასიათებელი თვისებებით, მეორეს მხრით, ეკონომიური ცხოვრების ფონზე გამოსული ტიპები, რომელთაც სოლომონ მეჯღანუაშვილისებურად, მიზნად დაუსახავთ გამდიდრება და ამ გზაზე არავითარ საშუალებებს არ ერიდებიან. ჩვენი ცხოვრების თანდათანმა განვითარებამ შესცვალა მეჯღანუაშვილის სახე და შემდეგში ჩვენ გვაქვს მეჯღანუაშვილის ტიპის სხვადასხვა ვარიაცია.

არდაზიანის პიროვნებაზე და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე წიგნში მოცემულია ამომწურავი წერილი ვარლამ ხუროძისა. წერილში დახატულია არდაზიანის მოღვაწეობის საერთო ფონი და დახასიათებულია ხსენებული მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობა.

ეჭვს გარეშეა, რომ არდაზიანის რომანის გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს პედაგოგებს და შრომის სკოლის უკანასკნელი ჯგუფების მოსწავლეებს. ისედაც—ქართული მხატვრული პროზის თანდათანი განვითარება მოთხოვნილებას ჰბადებს ამ პროზის პირვანდელი წყაროების გაცნობისათვის და არდაზიანის რომანის გამოცემა უთუოდ მნიშვნელოვანი და დროული საქმეა.

ე: პ—ლი.

ქ რ ო ნ ი კ ა

ტფილისის განათლების განყოფილებაში.

— ტფილისის განათლების განყოფილება ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე გამოსცემს კრებულს, რომელშიც მოთავსებული იქნება რევოლუციონური ხანის მიღწევანი სწავლა-განათლების საქმეში და საერთოდ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი საქართველოში.

— ტფ. განათლების განყოფილებამ დაბეჭდა და გასასყიდ გამოუშვა ოთხწლედის პროგრამების ქალაქის ვარიანტი.

— მასწავლებელთა დანიშვნები და გადაჯგუფება, როგორც ქალაქ ტფილისში, ისე მაზრაში უკვე დასრულდა. ამჟამად ყველა სკოლებში ნორმალური მეცადინეობა მიმდინარეობს.

— მოსწავლეთა რიცხვის ბუნებრივი ზრდის დასაკმაყოფილებლად ქალ. ტფილისში შრომის სკოლებთან გაიხსნა ორმოცამდე ახალი ჯგუფი.

— მოკლე ხანში განათლების განყოფილება მაზრისა და ქალაქის სკოლებს დაუგზავნის ინსტრუქციებს ანტირელიგიური მუშაობის სკოლებში და სკოლის გარე საწარმოებლად.

— ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავი შრომის სკოლებში ჩატარდება 5, 6 და 7 ნოემბერს. დღესასწაულის პირველ დღეს თითონ სკოლების შენობებში გაიმართება ზეიმი, მეორე დღეს რაიონებში, მესამეს კი მთელ ქალაქში. ზეიმს ექნება როგორც მეცნიერული, ისე მხატვრული ხასიათი. გაშუქებული იქნება ოქტომბრის რევოლუციის მიზეზები, მიზნები და მიღწევანი, ამ რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობა და სხვ. პროგრამის მეორე ნაწილის მიზანი იქნება მოსწავლე ახალგაზრდობაზე ემოციონალური ზეგავლენა წარმოდგენების, ლექსების, მოთხრობების და სხვ. საშუალებით.

— ოქტომბრის დღესასწაულებთან დაკავშირებით შრომის სკოლების მთელ რიგში გადავლენ ლაბორატორულ მეცადინეობაზე და საზოგადოდ მთელ სკოლებში გაცხოველებული იქნება ახალ მეთოდის შემოღების საქმე. ლაბორატორების მოსაწყობად და ხელსაწყობების შესაძენად განსაკუთრებული თანხა იქნება გადადებული. გარდა ამისა, განზრახულია მეორე და მეცხრე შრომის სკოლებთან ახალი მერვე ჯგუფების გახსნა. ნავარაუდევია აგრეთვე მე-2, 4, 5, 7, 11, 13, 14, 15, 17, 18, 19, 20, 21, 22, 24 საბავშვო ბაღებთან ახალი ჯგუფების გახსნა.

— განათლების განყოფილების საგამომცემო სექცია უკვე შეუდგა გრამატიკაში სამუშაო წიგნის ბეჭდვას. წიგნი დამუშავებულია ფორმალური გრამატიკის მიხედვით განსაკუთრებული კომისიის მიერ და ნებადართულია განათლების კომისარიატის მეთოდორგანოსაგან.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში განზრახულია განათლების მუშაკთა სახლის გახსნა. ხაფხულის თვეებში სახლში ყოველგვარი მუშაობა შეწყვეტილი იყო, ვინაიდან სწარმოებდა მთელი შენობის შეკეთება, გან. მუშაკთა სახლში

ოთახების სიმცირე აფერხებდა საწრეო მუშაობას და აგრეთვე ხელს უშლიდა საკლუბო მუშაობის გაშლას. კავშირის ც. გ. საპიროდ სცნო შეძლებისდაგვარად სახლში მოეწესრიგა ზოგიერთი ცვლილებები. ამ ჟამად განათლების მუშ. სახლი გაიხსნება სავსებით შეკეთებული და ვიმოდევნებთ, რომ მომავალ სეზონში მუშაობა უფრო ინტენსიური იქნება. საშემოდგომო-საზამთრო მუშაობის გასაცხოველებლად საჭიროა გან. მუშ. სახლის წევრად ჩაეწეროს რაც შეიძლება მეტი განათლების მუშაკი. ამ შემთხვევაში საჭიროა ჩვენი ადგილკომები მეტი ყურადღებით მოეკიდნენ ამ საკითხს, ჩაატარონ ადგილებზე შესაფერი კამპანია და აწარმოონ წევრების ჩაწერა. 15 ოქტომბრამდის გან. სახლში იწარმოებს ძველი წევრების რეგისტრაცია და ახალის ჩაწერა. მოსალოდნელია, რომ წელს სახლის წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება და მასთან ერთად სახლის მუშაობაში მეტ აქტიობას გამოიჩენენ.

განათლების მუშაკთა ცენტრალურ სახლში მომავალ საშემოდგომო-საზამთრო სეზონის განმავლობაში ჩატარებულ იქნება კულტ-საგანმანათლებლო მუშაობა საკლუბო მუშაობის სხვადასხვა სახით: კონცერტები, კინო, ლიტ. გასამართლება, მეცნიერული ხასიათის ლექციები, მოხსენებები პოლიტ-პროფესიონალური ხასიათის, ჰადრაკი და სხვ.

ადგილკომებს ევალება 1 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე ჩაატარონ გან. მუშ. სახლის წევრების ჩაწერის კამპანია. ამ დროისათვის კამპანია აუცილებლად დამთავრებული უნდა იყოს, ვინაიდან განზრახულია გან მ. სახ. გამგეობის არჩევნები 20 ოქტომბრამდე დამთავრდეს.

სარეგისტრაციო ბარათების და საწევრო წიგნაკების მიღება შეიძლება გან. მუშ. სახლის კანცელარიაში დილ. 11—1 საათამდე და საღ. 6—8 საათ.

შესასვლელი და საწევრო გადასახადი წინადელი რაოდენობის რჩება.

პროვინციის გან. მუშ. სახლების გამგეობის გადარჩევა უნდა ჩატარდეს 10 ნოემბრიდან.

ბიბლიოთეკების ქრონიკა

— გამოქვეყნებულია ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ს. ს. რ. პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის რესპუბლიკანურ საექსპორტო-საგამომცემლო კომისიის დაარსებისა და ამ კომისიაში იმ პირთათვის გამოცდების შემოღების შესახებ, რომელნიც ყოველი უწყებისა და ყოველ ტიპის ბიბლიოთეკაში მომუშავის თანამდებობაზე ინიშნებიან. ამ დადგენილების თანახმად, ყოველი ტიპის ბიბლიოთეკაში საშტატო თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდეს მხოლოდ ის პირი, ვისაც ჩაბარებული აქვს აღნიშნულ კომისიაში საბიბლიოთეკო საქმის ცოდნისა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მომზადების გამოცდები და მიღებული აქვს სათანადო მოწმობა.

სკოლის გარეშე განათლების სახლთან დაარსებულია საბავშვო ბიბლიოთეკა. ოფიციალური გახსნა 7 ნოემბერს.

ა. ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკა (ყოფილ სახალხო სახლის) გადადის ახალ ბინაში —ჰოტელ ნოეს ქვემო სართულში. ბიბლიოთეკასთან არსდება ცალკე საბავშვო განყოფილება.

პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს განკარგულებით ბიბლიოთეკებიდან გამორიცხული დაძველებული ლიტერატურა უნდა გადაეცეს ცენტრარქივის ბიბლიოთეკაში, ხოლო მაზრებში - სამაზრო საარქივო ბიუროებში.

საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტი ამზადებს. ხავკინის სახელმძღვანელოს პატარა ბიბლიოთეკებისთვის გამოცემას ქართულ ენაზე.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა გადაეცა სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

სახ. უნივერსიტეტის მთავარი ბიბლიოთეკარი გიორგი ბაქრაძე მუშაობს ქართულ ბიბლიოგრაფიულ კატალოგიზაციის პროექტის ინსტრუქციაზე. უკვე გამოცემულია: „ქართულ ბეჭდვით ნაწარმოებთა კატალოგიზაცია ნაწ. I. აღწერა კორპორატიული ავტორების პრინციპით". (საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტი) ს. ს. რ. პოლიტიკური მმართველობის ლიტოგრაფიული გამოცემა. 1927 წ. 24 გვ. შეძენა შესაძლებელია საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფო კაბინეტში, ჯორჯაძის ქუჩა № 4.

მზადდება გამოსაცემად:

ნაწ. II. ანონიმების, ფსევდონიმურ თხზულებების კრებულებისა და სერიულ გამოცემების კატალოგიზაცია.

ნაწ. III. პერიოდულ გამოცემების, რუკების ნოტების, გრაფიკულ გამოცემებისა და ეფემერიადის კატალოგიზაცია.

საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტი აცნობებს მასწავლებლებს და ყველა ბავშთა კითხვის საკითხით დაინტერესებულ პირებს, რომ კაბინეტის სპეციალურ ბიბლიოთეკაში მოიპოვება წიგნები საბავშო და სასკოლო ბიბლიოთეკებისა და ბავშთა კითხვის საკითხების შესახებ, რომლის გაცნობა შესაძლებელია სკოლის გარეშე განათლების სახლის სამკითხველო დარბაზში ყოველდღე 9 საათიდან 7 საათამდე. (ჯორჯაძის ქუჩა. № 4)

Херсонская, Н. Л. Библиотечная работа с детьми. Изд. „Новая Москва". М. 1925. 215 стр.

2. იგივე Работа в детской библиотеке. „Мысль" Л. 1923. 116 стр.

3. Покровская, А. К. О работе в детских и школьных библиотеках. тво „Мир" М. 19 8. 66 стр.

4. Главполитпросвет. Библиотечний отдел. Библиотечная работа с детьми. Сборник под. ред. М. А. Смушковой и Н. Л. Херсонской. М. и Л. Гиз. 1926. 88 стр.

5. Тоже изд. 2-е. 1927. 88 стр.

6. Главполитпросвет. Первая конференция Детбиблиотекарей Г. П. П. 25-27 марта 1925 года (доклады и резолюции), под общей редакцией М. А. Смушковой. Гиз. М. и Л. 1925. 56 стр.

7. Институт методов внешкольной работы. Отдел детского чтения. Новые детские книги. Сборник IV „Работник просвещения" М. 1926. 167 стр.

8. Разин. Библиография пионерской и детской книги 1919-1925. „молодая гвардия" М. и Л. 1926. 224 стр.

ამ წიგნების გარდა, გასაცნობად მრავალი წერილები ჟურნალ „Красний Библиотекар" „Печать и Революция", და სხვა.

დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭო. ტფილისი. საბალანსო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სსრ. შრომა-გლეხთა მთავარ საბჭოსთან არსებული საბავშვო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის რჩეული საქმიანობა საბჭოს - საგანმანათლებლო კომისიის დადასტურება და ამ კომისიაში ორთათვის გამოდგომის შეხსენების შესახებ. რომელნიც ყოველი უწყების და ყოველი ტიპის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო კვალიფიკაციის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომზადების მქონე მომუშავეებით, რომელნიც საშტატო თანამდებობაზე ინიშნებიან,- საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული საბიბლიოთეკო - საბიბლიოგრაფიო კაბინეთის რესპუბლიკანური საექსპორტო-საგამომცდელო კომისიის შესახებ.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საექსპერტო-საგამომცდელო კომისიის დაარსებისთანავე ყოველი ტიპის ბიბლიოთეკაში (ე. ი. სამეცნიერო, აკადემიური, პოლიტგანათლებისა, ცენტრალური და სარაიონო, რაიონულ სამკითხველოში და ყველა სხვა ბიბლიოთეკაში, ვის გამგებლობაშიაც უნდა იყოს იგი) საშტატო თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდეს მხოლოდ ის პირი, ვისაც ჩაბარებული აქვს აღნიშნულ კომისიაში საბიბლიოთეკო საქმის ცოდნისა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მომზადების წინასწარი გამოცდები და მიღებული აქვს ბიბლიოთეკარის ან საბიბლიოთეკო ტეხნიკური მომუშავის წოდება.

3. ყველა პასუხისმგებელ თანამდებობაზე ბიბლიოთეკაში ესა თუ ის პირი უნდა დაინიშნოს მხოლოდ საჯარო კონკურსის გამოცხადების წესით.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის 1927 წ. ოქტომბრის 1-დან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თან. დრ. აღმ.
ა. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. ღმ.
ბ. ფ ა ღ ა ვ ა.

1927 წ. სექტემბრის 17.
თბილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სსრ საბჭ. რესპ. პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეთის საექსპორტო-საგამომცდელო კომისიის შესახებ.

1. საქართველოს სსრ პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეთის საექსპორტო-საგამომცდელო კომისია შესდგება პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს, მეცნიერულ დაწესებ. მთავარ სამმართველოს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელთაგან და საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეთის ორი წევრისაგან. კომისიას მიზნად აქვს უზრუნველჰყოს ყოველი ტიპისა და ყოველი უწყების ბიბლიოთეკა სათანადო კვალიფიკაცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომზადების მქონე მომუშავეებით საშტატო თანამდებობაზე დასანიშნავად.

2. საექსპერტო-საგამომცდელო კომისიას დაეკისრება:

ა) მოახდინოს გამოცდები როგორც ბიბლიოთეკისა, ისე საბიბლიოთეკო ტეხნიკური მომუშავის წოდების მიღებისათვის;

ბ) დააწესოს ყოველი ტიპის ბიბლიოთეკის. ე. ი. სამეცნიერო, აკადემიური, პოლიტგანათლებისა, ცენტრალური და რაიონული, პროფკავშირული და სხვა ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარისათვის კვალიფიკაციის ხარისხი;

გ) გადასწყვიტოს საკითხები ბიბლიოთეკაში მომუშავეთა კვალიფიკაციის ხარისხის შესახებ და ბიბლიოთეკებში საბიბლიოთეკო საქმის დაყენების შესახებ; აგრეთვე შეაფასოს კონკურსის დროს კანდიდატები პასუხსაგებ საბიბლიოთეკო თანამდებობაზე დასანიშნავად.

3. საექსპორტო საგამომცდელო კომისია მოახდენს გამოცდებს საქართველოს სსრ განათ-

ლების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში, როგორც სხვადასხვა დაწესებულების მოთხოვნით, ისე კერძო პირის განცხადებით. გამოცდები მოხდება წინასწარ დანიშნულ ვადაზე. იმის მიხედვით, თუ, განათლების საქმეში' მომუშავეთა პროფკავშირის განსაზღვრით, როგორია მოთხოვნილება საბიბლიოთეკო მომუშავეებზე.

4. უკეთუ საჭირო იქნება გამოცდების სამაზრო ცენტრში გადატანა, საექსპერტო-საგამომცდელო კომისია წარავნილებს საამისოდ თავის წევრებს ადგილობრივ.

შეღავათები მხატვრებს და ლიტერატორებს.

ოსკოვი, 1 ოქტომბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს მიიღონ ზომები იმასათვის, რათა მხატვრები და მოქანდაკენი და აგრეთვე ლიტერატურული მუშაკები, რომელთათვის ლიტერატურული შრომით შემოსავალი წარმოადგენს მათ არსებობის წყაროს, უნდა სარგებლობდენ სამოსწავლო დაწესებულებებში შესვლისათვის იმ შეღავათებით, რომლითაც სარგებლობენ მუშები. აღნიშნულ პირთა და აგრეთვე მეცნიერების მუშაკთა ბავშები სასწავლებელში მიღებისათვის გათანაბრებული უნდა იქნენ მუშათა ბავშებთან.

საკავშირო სახკომსაბჭოს და ცაკის დადგენილებით, ლიტერატურის მუშაკები, მხატვრები, მოქანდაკენი და მეცნიერების მუშაკები საბინაო გადასახადის მხრივ უნდა სარგებლობდენ აგრეთვე იმ შეღავათებით, რომლითაც სარგებლობენ მუშა-მოსამსახურენი. მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება ეძლევა შესწორება შეიტანონ რესპუბლიკანურ კანონმდებლობაში ზემოაღნიშნულ დადგენილების მიხედვით.

საკავშირო სახკომსაბჭოს და ცაკის დადგნილებით, წინადადება ეძლევა მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს დაწესონ გად. შეღ. პირობები იმ მხატვრებისა და მოქანდაკებისათვის, რომელთაც ნორმაზე მეტი საცხოვრებელი ბინები უჭირავთ სპეციალური სახელოსნოების სახით.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გაზეთ „**მუშაში**“ (№ 1455) ეკითხულობთ:

„ს. ახალდაბა, ბორჯომის ხეობა. სოფლის მასწავლებლებს ჯერ კიდევ მცირე ხელფასი ეძლევათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ამ გროშებსაც თავის დროზე ვერ ღებულობენ.

ამ მხრივ ახალდაბის 7-წლედის მასწავლებლების განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან.

ჯამაგირების მიუღებლობა რამოდენიმე თვეების განმავლობაში სისტემად გადაიქცა.

— ნუ თუ არაა დრო, რომ განათლების განყოფილებამ მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს ამ მხრივ?“

: ნეტა რა ზომებს ღებულობს კავშირის ადგილობრივი განყოფილება ამ უკანონობის წინააღმდეგ, დაუმატებთ ჩვენ.

სამოსწავლო წელი აჭარისტანში

გასულ სამოსწავლო წელში აჭარისტანში გაიხსნა იმდენი სკოლა, რომ საესებით დააკმაყოფილა მოთხოვნილება. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სკოლაში შესვლის მსურველი სკოლის გარედ დარჩენილიყოს.

უკვე დაწყებულ ახალ სასწავლო წლისათვის სასკოლო ქსელს მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. გაიხსნა რამოდენიმე პირველი საფეხურის სკოლა და ორი გლეხური ახალგაზრდობის სასწავლებელი.


ზაფხულის პერიოდში ჩატარდა მასწავლებელთა გადამზადება. 5 მასწავლებელი გაიგზავნა ტფილისის კურსებზე, ერთი ახალციხის კურსებზე, ორი აზერბეიჯანში, სამი ბერძენი მასწავლებელი ანაპას კურსებზე. სწავლის განახლებამდე დამთავრდა სასკოლო შენობების შეკეთება. გასულ წელთან შედარებით სასკოლო შენობათა მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ერთი კვირით ადრე სწავლის განახლებამდე მოეწყო სამაზრო სკოლების მასწავლებელთა თათბირი, რომელსაც დაესწრო 160-დე მასწავლებელი.

თათბირმა დაავალა სოფლის სკოლების მასწავლებლებს მიიღონ ყოველგვარი ღონისძიებები, რომ არც ერთი სკოლის ჭასაკს მიღწეული ბავში არ დარჩეს სკოლის გარეშე, მიიღონ ზომები ბავშების მიერ გაკვეთილების გაცდენის აღმოსაფხვრელად და აგრეთვე აწარმოონ მუშაობა მშობლებს შორის, რომ მომავალში ადგილი არ ეძნეს ბავშების სკოლიდან გაყვანას სასწავლებლის სრული კურსის დამთავრებამდე.

1927—28 სამოსწავლო წლისთვის აჭ. განათლების სახალხო კომისარიატის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აჭარისტანის სასწავლებლების მასწავლებელთა პერსონალისათვის ჯამაგირების მომატება. „კომ.“

ი ა მ ბ ი

ს ა დ გ უ რ ბ ე.



— სად მიგყავს, მიხო, ე ბალღები?

— ქალაქშია; ამბობენ, რომაო ქალაქში მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდებაო და მინდა ბალღები იქ ვისმე მივაბარო,—ეგების დროზე მომესწრენ.

მასჩაგლეშულთა შორის



— როგორ გიკითხო, გიორგი, ხომ კარგად?

— ეხ, ნუღარ მეკითხები, თუ ძმა ხარ...

— როგორ, კაცო, რა მოგივიდა?

— ეგ ერთი ხანია მადა არ მჭონდა და ეხლა, დასვენების შემდეგ, ისევ მომივიდა.

საჯარო მოკლენა.

— აი, დედაჩემო, ეხლა გამოირკვა, რატომ არ მიულიათ უნივერსიტეტში ჩვენი ვალიკო: თურმე ბარათაშვილს არ იცნობს სრულიად.

აკი ვამბობ, შვილო, უნაცნობოდ ეხლა არაფერი არ კეთდება მეთქი; ყველგან ნათლიმამობა და პროტექციაა გაბატონებული.

უშაღლესი აჰოლიკიაში.

— თქვენ, ამხანაგო, უპარტიო ხართ?

ღმერთმა დამიფაროს! მე მხოლოდ თანაეუგრძნობ მათ.

თავისუფალი არითმეტიკა.

— იცი, ამ თვეში ცხრაასი მთხოვნელი მიეიღე.

— მთხოვნელი, ალბად, ცხრა იქნებოდა, მაგრამ ას-ასჯერ თუ მოვიდენ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ა. მიქაძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1—საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის . . . . . 3 გვ.
2—ინდუსტრიალიზაციის სესხი . . . . . 7 „
3—მზადება ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად . . . . . 10 „
4—ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავის ტფილისში ჩატარება გან. მუშ. შორის (გეგმა) . . . . . 12 „
5—**ნ. ჰეიშვილი:** საბიბლიოთეკო მუშაობა განათლების მუშაკთა კავშირში . . . . . 13 „
6—**მ. სტეფანოვი:** ტფილისის ადგილკომთა ქსელის სტრუქტურა . 16 „
7—**გ. კაკუბერი:** ახალი კანონი შრომის გმირების შესახებ . . . 20 „
8—როგორ იცავს კავშირი თავის წევრებს . . . . . 21 „
9—საქმიანი კრება . . . . . 22 „

ბიბლიოთეკართა ცხოვრება.

10—მისალმება „განათლების მუშაკს“ . . . . . 23 „
11—**ვ. ბროსე:** ბიბლიოთეკართა სამუშაო ნორმები სამაზრო ცენტრებში . . . . . 24 „
12—**ვ. ხუროძე:** მშობლიური ლიტერატურის და ენის სწავლების საკითხები . . . . . 26 „
13—**ს. აბულაძე:** ქართული მართლწერისა და დამწერლობის შესახებ . 29 „
14—**ბ. წიფურია:** კომპლექსური სისტემა . . . . . 31 „
15—**დ. ყიფშიძე:** საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში . . . . . 33 „
16—**ნ. მექვაბიშვილი.** სკოლის საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა . . . . . 37 „
17—პროფ. გრიგოლ წერეთელი . . . . . 39 „
18—ჰანრი ბარბიუსი . . . . . 43 „
19—ბიბლიოგრაფია . . . . . 44 „
20—ქრონიკა . . . . . 47 „
21—იუმორი . . . . . 52 „
22—შინაარსი . . . . . 54 „

განცხადება

განცხადება

„განათლების მუშაკი“

პედაგოგიურ-პროფესიონალური ორკვირეული ჟურნალი

გამოცემა საქ. განათლების მუშაკთა კავშირისა

გამოდის ოქტომბრის პირველიდან თვეში ორჯერ,
1 და 15 რიცხვებში

გრძელდება ხელისმოწერა პირველი ნომრიდან. ე. ი. კოლექტიური ხელისმომწერლები, რომელნიც ოქტომბრის დამლევს მოაწერენ ხელს უნდა გადაიხადონ პირველად ერთი მანეთი და შემდეგ ათ-ათი შაური თვეში, ვინც ნოემბრის დამლევს მოაწერს ხელს იხდის პირველად 1 მ. 50 კაპ., შემდეგ კი ათ-ათ შაურს თვეში, და ასე. ჟურნალი კი გაეგზავნებათ პირველი ნომრიდანვე.

წლიური ხელისმომწერთათვის ჟურნალი ეღირება

ექვსი მანეთი,

რომელიც გადახდილ უნდა იქნეს

ორ-ორ მანეთობით სამჯერ: ოქტომბრის პირველამდე,
დეკემბრის პირველამდე
და თებერვლის პირველამდე.

კოლექტიური ხელისმომწერნი კი იხდიან თვიურად ათ-ათ შაურს.

მისამართი: ტფილისი, ფურცელაძის ქ. № 3

ფასი 40 კაპ.

ვ 20 ამ
1927